< 0,01	0,02	0,01	>ბევრი	არ არის	0,03	—	0,05	0,01	არ არის	"	"	0,1	—	—
არ არის	კვალი	არ არის	18,75	"	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
"	"	არის	15,7	6,12	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კვალი	"	იბევრი	>ბევრი	>ბევრი	0,05	—	0,03	0,01	არ არის	—	არ არის	0,1	—	—
—	—	—	1,29	92,41	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
0,03	0,025	0,02	იბევრი	დ. ბევრი	0,01	—	0,3	< 0,01	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	—	—
არ არის	კვალი	არის	6,2	არ არის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კვალი	"	იბევრი	>ბევრი	0,05	0,5	—	0,05	0,03	0,01	კვალი	არ არის	0,1	—	—
0,03	0,35	არ არის	>ბევრი	0,01	0,05—0,1	—	0,5	0,1	არ არის	არ არის	"	0,1	—	—
0,03	0,02	0,01	>ბევრი	0,01	0,03	—	0,05	არ არის	"	—	"	ი 0,1	—	—

ანთიმონის ადამიანი ასე ადრე იმის გამო გაცუ-  
ნო, რომ მისი შენაერთები, განსაკუთრებით კი  
ანთიმონის სულფიდი ( $Sb_2S_3$ ), რომელიც საკ-  
მაოდ გავრცელებულია ბუნებაში, ადვილად აღ-  
დგება თავისუფალ ლითონად. მაგრამ მას, დიდი  
მექანიურ და ტექნიკური თვისებების გამო, ცხა-  
დია, პირველად ადვილი უფრო მალალი თვისებე-  
ბის ლითონებისთვის უნდა დაეთმო<sup>1</sup>.

დედამიწის ქერკი 0,00005% ანთიმონის შეი-  
ცავს<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ანთიმონი წარმოად-  
გენს ჩვეულებრივ და არაუფრო ელემენტს, ის და-  
როშნანთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებ-  
ული. ბუნებაში ის სხვადასხვა შენაერთების სახით  
გვხვდება. დღესდღეობით ცნობილია მისი 80 მი-  
წერალური სახეობა<sup>3</sup>.

თვითნაბი ანთიმონი ყოველთვის მეორადი,  
ზელაპირული წარმოშობისაა და ანთიმონოვანი შე-  
ნაერთების ეანგბადიდან შენაერთებში გადასვლის  
შუალედ პროდუქტს წარმოადგენს.

ანთიმონის მადნებიდან პრაქტიკული მნიშვნე-  
ლობა აქვს ანთიმონიტს ( $Sb_2S_3$ ), ანთიმონით მდი-  
დარ ვალენიტსა და მქრქალ მადნებს<sup>4</sup>.

ანთიმონის მქრქალი მადნებიდან ყველაზე მეტად  
გავრცელებულია ტეტრაედრიტი ანუ სპილენძანთი-  
მონოვანი სულფიდი ( $3Cu_2S \cdot Sb_2S_3$ ). ამ მინერალის  
ქიმიური ანალიზი დიდ გადახრას იძლევა ჩვეუ-  
ლებრივი ფორმულიდან, რადგან შეიცავს სხვადა-  
სხვა იზომორფულ მოლეკულებს:



ხშირად ტეტრაედრიტი, როგორც ზემოთ იყო  
აღნიშნული, იზომორფულად შეიცავს დარიშხანს

<sup>1</sup> М. П. Славинский, *дасახლებული ნაშრომი*, გვ. 399.  
<sup>2</sup> Н. Л. Глиныа, *Общая химия*, Госхимиздат, 1954,  
стр. 440.

<sup>3</sup> А. Е. Ферман, *Геохимия*, т. IV, Госхимиздат,  
1939, стр. 165.

<sup>4</sup> В. И. Варшакский, *Избранные сочинения*, т. II,  
Изд. АН СССР, Москва, 1955, стр. 207.

და გადადის ტენანტიტში, რომელშიც ანთიმონის ნაცლად ჩანაცვლებულია დარიშხანი  $3Cu_2S \cdot As_2S_3$ . დანარჩენი მინერალებიდან მნიშვნელოვანია ბურნონიტი ( $2PbS \cdot Cu_2S$ )  $Sb_2S_3$  და ანთიმონის პირველადი მინერალის ანთიმონიტი ( $Sb_2S_3$ ) დაეანჯგის პროლუქტი ვალენტინიტი ( $Sb_2O_3$ ).

ანთიმონთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესოა აღნიშნოს სპილენძ-ანთიმონის შენადნობის ზოგიერთი თვისება.

ანთიმონი თანამედროვე ტექნიკაში გამოიყენება მთელ რიგ შენადნობებში ძირითადი ლითონის ღირბის ტემპერატურის დასაწევად და სისალის ვასაზრდელად, მაგრამ მისა დიდი რაოდენობით მიმატება უკვე იწვევს შენადნობის სიმყიფეს<sup>1</sup>.

უკანასკნელ დრომდე ანთიმონს თვლიდნენ სპილენძის ძალიან მავნე მინარეულად, მაგრამ რადგან ანთიმონი 1—2%-მდე მყარი ხსნარის სახით შედის სპილენძში. ამიტომ ის არ ახდენს სპილენძზე მავნე გავლენას. მართლაც, ამ ბოლო ხანებში ე. შეხედულება ანთიმონზე. როგორც სპილენძის მავნე მინარეულზე. შეიცვალა. დადასტურებულია, რომ ანთიმონის შემცველობა პროცენტის არა თუ მეათასედის, არამედ მეასედისა და მეათედის რაოდენობით ხელს არ უშლის სპილენძის არც ცხელ და არც ცივ დამუშავებას<sup>2</sup>. ანთიმონის მეტი რაოდენობით მიმატება კი უკვე იწვევს სპილენძის პლასტიკურობის შემცირებას. ანთიმონის ძალიან მავნე გავლენა სპილენძზე შეიმჩნევა განსაკუთრებით, მისი (სპილენძის) ცხელი დამუშავების დროს.

მავე დროს, უთუოდ, აღსანიშნავია, რომ ანთიმონის მავნე მოქმედება (ანთიმონის დიდი რაოდენობის შემთხვევაში) სპილენძის მექანიკურ თვისებებზე მნიშვნელოვნად მცირდება დარიშხანის მიმატებით<sup>3</sup>.

## რამბა

შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი აღმოჩენილია სოფ. ბოლში. სამაროვანი რამდენიმე ფენისაგან შედგება, რომელთა შორის უძველეს ფენას გ. ვოზეჩოველი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით

<sup>1</sup> Г. А. Шахов, *Металлургия сурьмы, Цветметиздат, Москва—Ленинград, 1932, стр. 9.*

<sup>2</sup> А. А. Бочвар, *Металловедение, Металлургиздат 1956, стр. 433.*

<sup>3</sup> А. Н. Сивраги, *Промышленные цветные металлы в сплавах, Металлургиздат, 1949, стр. 13.*

ათაროლებს<sup>4</sup>. ლითონის ნივთებიდან სამარხში აღმოჩნდა პატარა შუბისწვერები, რგოლის ნატეხები, პრიმიტიული სატყვერის პირები, საყინძები და სხვ.<sup>5</sup>

რაკის შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის ნივთებიდან ქიმიურად შესწავლილია 12 ნივთი<sup>6</sup> (იხ. ცხრილი 9).

ცხრილიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს ძირითადი შემაღვენილი კომპონენტები, ისევე როგორც ადრეულ ბრინჯაოს ხანის ნივთებში, დარიშხანი და სპილენძია, ე. ი. რაკაშიც ნივთები დამზადებულია დარიშხანიანი სპილენძისაგან. სპილენძის რაოდენობა ნივთებში იცვლება 60,13%-დან 96,1%-მდე. დარიშხანისა 1,09%-დან 11,17%/მდე. ანთიმონი მხოლოდ სამ ნივთშია უმნიშვნელო რაოდენობით. კალა კი მარტო ერთ ნივთში აღმოჩნდა. შემოაღნიშნული ნივთებიდან გამოირჩევა ცული და ცხვრისათვის ქანდაკების სტილიზებული გამოსახულება, რომელიც დარიშხანის მნიშვნელოვან რაოდენობასთან ერთად (11,17% As, 9,15% Sb) დიდი რაოდენობით შეიცავს ანთიმონს (15,59% Sb; 24,38% As). მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ანთიმონი ხელოვნურად არის შეტანილი. ამას უნდა მოწმობდეს ისიც, რომ აღნიშნული ცული თავისი ფორმითა და სიდიდით არ უნდა იყოს საბრძოლო ან სამეურნეო დანიშნულების იარაღი, არამედ უფრო საკულტო-სარიტუალო ან საზეიმო ხასიათს უნდა ატარებდეს. ვინაიდან დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო სასიამოვნო ფერისაა, ბზინავს და ძლიერ წააგავს ვერცხლს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ანთიმონი აქ დეკორატიული მიზნით არის გამოყენებული. რადგან ასეთი შედგენილობის ბრინჯაო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მყიფეა და მისი გამოყვანა შეუძლებელია, ბუნებრივია, რომ ასეთი ლითონისაგან დამზადებული ცული არ გამოდგებოდა საბრძოლო ან სამეურნეო დანიშნულებისათვის.

რაც შეეხება ცხვრისათვის ქანდაკების სტილიზებულ გამოსახულებას აქაც ანთიმონი დამატებული უნდა იყოს მისი სრულყოფილი სხმულის (ზუსტი რელიეფი) მისაღებად და სასიამოვნო ფერის მისაცემად.

<sup>4</sup> ნ. ვოზეჩოველი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, საქ. სსრ მეც. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 1952, გვ. 56.

<sup>5</sup> იქვე გვ. 57.

<sup>6</sup> ნივთები და თარიღები ნივთებიდან აკად. ივ. უჯაბი-შვილის სამ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ფეროს მეცნიერ თანამშრომელმა ნ. ვოზეჩოველმა, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.

წიგნი №10	საიწმე. საიწმე. მონ	სამართლის და დაჯილდოების მონ	აღმოჩენის ადგილი და წელი	კაბონის ხელშეკრულება	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1. უსლი	30 სკვ.	სამართი 12	ბიზონი, 1939	ბ. ბიზონი	68,1	ახ. არსი	ახ. არსი	კვლევი	კვლევი	11,17	15,59
2. უსლი	196 სკვ.	პაუფი 31	ბიზონი, 1939	"	90,5	0,24	"	0,54	0,14	7,02	ახ. არსი 0,26
3. უსლი	"	სამართი 31	ბიზონი, 1939	"	92,05	ახ. არსი	ახ. არსი	კვლევი	"	6,31	4,9
4. უსლი	"	პაუფი 197	ბიზონი, 1939	"	92,20	"	"	"	"	6,4	ახ. არსი
5. უსლი	198 სკვ.	პაუფი 31	ბიზონი, 1939	"	90,56	"	"	"	"	5,6	კვლევი
6. ნიჟინსკის ნაბეჩა	31 სკვ.	პაუფი 31	ბიზონი, 1950	"	92,00	"	"	"	"	5,8	ახ. არსი
7. ნიჟინსკი (ბიძე)	"	პაუფი 31	ბიზონი, 1939	"	92,8	"	"	"	"	5,9	"
8. ნიჟინსკი	202 სკვ.	პაუფი 31	ბიზონი, 1950	"	96,1	"	"	"	"	2,3	"
9. ნიჟინსკი (საბურა)	"	პაუფი 31	ბიზონი, 1950	"	80,54	13,02	0,68	"	0,16	1,09	0,70
10. ნიჟინსკი	"	სამართი 35	ბიზონი, 1950	"	93,59	ახ. არსი	ახ. არსი	"	"	4,5	ახ. არსი
11. სამაუფი	"	სამართი 35	ბიზონი, 1950	"	80,13	1,47	0,14	2,1	0,69	9,15	24,38
12. ცხვრისთავის ქანდაცის სტოლი. გამოთხვევა	31 სკვ.	სამართი 12	ბიზონი, 1950	"							

წიგნი №11	საიწმე. საიწმე. მონ	საიწმე. საიწმე. მონ	აღმოჩენის ადგილი და წელი	კაბონის ხელშეკრულება	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb	Bi	Si	Ni	Cu	Mn	Ag
1. უსლი	ცხ. XIV, 11-32,34 სკვ.	საბურა	საბურა, 1955	ბ. ბიზონი	95,6	ახ. არსი	ახ. არსი	კვლევი	ახ. არსი	4,1	ახ. არსი	-	-	-	-	-	-
2. საკიცი	70 სკვ.	"	საბურა, 1955	"	91,30	"	"	"	-	5,90	1,21	-	-	-	-	-	-
3. საკიცი	72 სკვ.	"	საბურა, 1955	დ. ბიზონი	დ. ბიზონი	კვლევი	კვლევი	"	ახ. არსი	ბიზონი	ბიზონი	0,01	0,05	0,01	ახ. არსი	0,01	0,1
4. ბიცი	63 სკვ.	"	საბურა, 1955	ბ. ბიზონი	89,20	ახ. არსი	ახ. არსი	-	-	8,44	ახ. არსი	-	-	-	-	-	-
მარჯუ.	"	"	საბურა, 1955	დ. ბიზონი	86,00	7,22	"	-	-	6,00	0,61	-	-	-	-	-	-
			საბურა, 1955	დ. ბიზონი	დ. ბიზონი	ბიზონი	კვლევი	კვლევი	ახ. არსი	> ბიზონი	ბიზონი	ახ. არსი	0,5	0,01	ახ. არსი	0,01	0,1

ამრიგად, რაჰის შუა ბრინჯაოს ხანის ნივთები უპირატესად დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეთები. მაგრამ ამავე დროს, ამ პერიოდიდან აქ უკვე შეიძინევა ანთიმონის გამოყენება.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ-ერთ შუბისპირზე, რომელიც კალას დიდი რაოდენობით (13,02%) შეიცავს. აშკარაა, რომ იგი ხელოვნური შენადნობია. ჩვენს მიერ რაჰის შუა ბრინჯაოს ხანის მხოლოდ 12 ნივთია შესწავლილი. რომელთაგან ერთი აღმოჩნდა კალიანი. საფიქრებელია, რომ სხვა ნივთების შესწავლის შედეგად კიდევ გამოვლინდება კალიანი ნივთები.

რაჰის ამ პერიოდის ნივთებში. გარდა ამ შუბისპირისა, კალას კიდევ ორ შემთხვევაში ვხვდებით, მაგრამ ისე მცირე რაოდენობით (0,24 და 1,47%), რომ მის ბუნებრივობაში ეჭვის შეტანა ძნელია. როგორც ჩანს, კალის ეს რაოდენობა სპილენძის მადნის მინარევი უნდა იყოს. მსგავს მოვლენებს ვხვდებით როგორც აფხაზეთის. ისე გურიისა და საჩხერის ნივთებში. ასევე ხშირია კალის მცირე რაოდენობით არსებობა ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიურ ნივთებში, სადაც მისი შემცველობა 2%-ს არ აღემატება.<sup>1</sup> მთელი რიგი მკვლევარები ბუნებრივი მინარევედ თვლიან კალის ამ რაოდენობას (2%-მდე)<sup>2</sup>.

გერმანულმა მეცნიერებმა კ. ოტომ და ე. ვიტერმა შეისწავლეს ვერმანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის წარმოების ნაშთები — წილები. ერთ-ერთ წილამ აღმოჩნდა ლითონური ჩანარები. ბ. როზელი 0,62% სპილენძს და 1,2 კალას შეიცავდა. ამ მაგალითის საფუძველზე მათ დაასკვნეს, რომ წილში შემავალი კალა კალისშემცველ სპილენძის მადნის გამოყენებას მოწმობს, ე. ი. კალისშემცველ მადნიდან გამოდნობილ ლითონში აუცილებლად გადაის კალა.<sup>3</sup>

როგორც დავანახეთ, შუა ბრინჯაოს ხანაში რაჰაში უკვე შეიძინევა ანთიმონისა და კალის გამოყენება.

რაც შეეხება ნელლეულს, ე. ი. სპილენძსა და ანთიმონს, ორივე ეს მ. დანი, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე იყო გამოყენებული რაჰაში<sup>4</sup>.

შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება აგრეთვე ჩვენს მიერ ქიმიურად შესწავლილი ყუაშილიანი ცულლი (№11 — 32:34) სენათიდან (ტაბ. XIV<sub>4</sub>). იგი დამზადებულია დარიშხანიანი სპილენძისაგან (დარიშხანის რაოდენობა 4,10/100 უდრის). სხვა მინარევები მის შედგენილობაში არ გვხვდება (იხ. ცხრილი 10).

შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა უნდა იყოს საჩხერის რაიონში სოფ. ქორეთში 1955 წელს აღმოჩენილი სამკაულები, ეგრძოდ მძივი და კოხვისა და ღუზის ფორმის საკიდები (ტაბ. III 8, 10, 12).

ამ სამკაულთა შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი დარიშხანიანი სპილენძისაგან არის დამზადებული, მაგრამ დარიშხანის გარდა აქ სხვა დანამატსაც ვხვდებით. ასე, მაგ., მძივი დიდი რაოდენობით შეიცავს კალას (7,29%). სხვა მინარევებიდან მძივისა და ღუზის ფორმის საკიდში სპექტრული ანალიზით აღმოჩნდა თუთია, ანთიმონი, სილიციუმი, ნიკელი, მანგანუმი და ვერცხლი. კოხვის ფორმის საკიდი კი დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეთები, ანთიმონი მასში არ აღმოჩენილა (იხ. ცხრილი 10).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი დროის ლითონის ნივთები (ქორეთიდან), ჯერ კიდევ უპირატესად დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეთები. დარიშხანთან ერთად გვხვდება კალის დანამატი.

### სამხრეთ ოსეთი

შიდა ქართლში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესწავლილი იყო შუა ბრინჯაოს ხანის ორი სამართავანი: ერთი სოფ. ნულში და მეორე კი სოფ. ქვასთაღში.

ნულის სამართავნიდან მხოლოდ ორი შუბისპირის ქიმიური ანალიზია ჩვენთვის ცნობილი<sup>5</sup>. აღნიშნული შუბისპირების ქიმიური შედგენილობა ერთმანეთის მსგავსია; სპილენძის რაოდენობა იცვლება 93,58%-დან 94,34%-ის ფარგლებში, დარიშხანის რაოდენობა ორივე შუბისპირში 1,5%-ია. სხვა მინარევებიდან აღმოჩნდა რკინა — ერთში — 0,28% და მეორეში — 0,44/100, ორივე შუბისპირი შეიცავს

<sup>1</sup> A. A. Нерош, *დასახლებული ნაშრომი*, გვ. 216.  
<sup>2</sup> Б. А. Богачевна, *История техники*, т. I, Изд. АН С. С. Р. М.-Л., 1926, стр. 92.  
<sup>3</sup> H. Otto, W. Witter, *Handbuch der ältesten vorge-schichtlichen Metallurgie in Mitteleuropa*, Johann Ambrosius Barth-Verlag—Leipzig, 1952, 88. 29.  
<sup>4</sup> იქვე.  
<sup>5</sup> გ. ნაზარეშვილი, *დასახლებული ნაშრომი*, გვ. 54.

თეთიას. განსხვავება მხოლოდ ტყეიაშია, რომელიც მარტო ერთ შუბისპირაში აღმოჩნდა 0,3%-ის რაოდენობით; შესაძლებელია ეს შუბისპირები ერთ მასალიდან იყოს ნაყეთები.

როგორც მათი მეტადგარათული კვლევის შედეგად გამოიკვეა, შუბისპირები დამზადებულია ქედით ცხელ მდგომარეობაში<sup>1</sup>.

ჩვენს მიერ შესწავლილია სოფ. ნულში მოპოვებული ორი შუბისპირი და ერთი სატევარი (იხ. ცხრილი 11).

შუბისპირი № 39 (ტაბ. IX) და სატევარი № 85 დამზადებულია დარიშხანის სპილენძისაგან. მიწარეებიდან პირველში სპექტრულად აღმოჩნდა ანთიმონი, რკინა, ტყეია, ბისმუტი. სილიციუმი, ნიკელი, ალუმინი, ფოსფორი და ვერცხლი. მეორეში—რკინა, კალა, ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი, ანთიმონი, ფოსფორი და ვერცხლი. მესამე შუბისპირი № 176 (ტაბ. IX) დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან ( $-7\%Sn$ ), რომელიც კალის გარდა 1—3%-მდე ტყეიასე შეიცავს. მიწარეებიდან აღმოჩნდა რკინა, ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი, ალუმინი და ვერცხლი.

გარდა იარაღისა, ჩვენს მიერ შესწავლილია სოფ. ნულში მოპოვებული სამკაულები—სასაფეთქე რგოლი თხელი ფირფიტისა და დისკოსებრი საკინძი (ტაბ. IX). როგორც შესწავლის შედეგად გაიკვეა, ამ სამკაულთა შედგენილობაში შედის სპილენძი, დარიშხანი და ანთიმონი. მიწარეებიდან სპექტრული ანალიზით აღმოჩნდა რკინა, კალა, ტყეია, ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი და ვერცხლი (იხ. ცხრილი 11).

ამრიგად, ი არ აღი სო ფ. ნულ დან უპირატესად დარიშხანის სპილენძისაგან არის ნაყეთები და ერთ შემთხვევაში კი გვხვდება კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული შუბისპირი. სამკაულები კი ანთიმონი და ვერცხლი და რკინა-ბრინჯაოსაგან დარიშხანისაგან.

ჩვენს მიერ შესწავლილია აგრეთვე სოფ. ქვასათლის სამაროვანზე 1952 წელს სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი წასაღებ (იხ. ცხრილი 11).

<sup>1</sup> ფ. თაყაძე, თ. საჯარელოძე, ძველი ქართული ბრინჯაოს შუბისპირების დამზადების ტექნოლოგია, საქ. სსრ მეცნ. აკად. ლიტონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 1956, გვ. 345.

<sup>2</sup> О. М. Давларидзе, Качествомский металлургический завод в Юго-Осетии, Крымские сообщения НИИМК. Вып. 60, 1955, стр. 23.

ქვასათლის შუბისპირების ერთი ნაწილი დამზადებულია დარიშხანის სპილენძისაგან (ტაბ. X და ტაბ. XI<sub>1-2</sub>). ამ შუბისპირებში სპილენძის რაოდენობა იცვლება 94,1%-დან 96,18%-მდე, დარიშხანის რაოდენობა კი 3%-დან 4,8%-მდე. სხვა მიწარეებიდან აღმოჩნდა თუთია მცირე რაოდენობით და რკინა კვალის სახით.

მეორე ნაწილი შუბისპირებისა კი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (ტაბ. X-ა). სპილენძის რაოდენობა შუბისპირებში მერყეობს 85,54%-დან 88,9%-ის ფარგლებში. კალის კი 6,64%-დან 12,05%-მდე. დარიშხანი მხოლოდ ერთ შუბისპირაში აღმოჩნდა და ისიც კვალის სახით, ანთიმონი კვალის სახით შედის უველა შუბისპირაში. ორ შუბისპირაში ტყეიის რაოდენობა 1,18%-დან 3,84%-მდე იცვლება (№8 და №6).

რაც შეეხება სატევრებს, როგორც ცხრილიდან ირკვევა, ისინი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (ტაბ. XI<sub>1-2</sub>). აღნიშნულ სატევრებში სპილენძის რაოდენობა იცვლება 84,00%-დან 88,2%-ის ფარგლებში, კალა კი 10,45%-დან 14%-ის ზღვრებში. აქაც ერთ-ერთ სატევარში აღმოჩნდა ტყეია 1,07%-ის რაოდენობით. დარიშხანი ყველა სატევარშია ერთნაირად გამოკლებით, ასევე, ყველა სატევარი შეიცავს ანთიმონს კვალის სახით. სამ სატევარში კვალის სახით აღმოჩნდა თუთია.

გარდა იარაღისა, ქვასათლის სამაროვიდან სპექტრული ანალიზით განსაზღვრულ იქნა სხვადასხვა სახის სამკაულების ქიმიური შედგენილობა. როგორც გაიკვეა, ნიჩბისებრი საკინძი, დისკოსებრი საკინძი, სამაჭურები და სასაფეთქე რგოლები დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. რომელიც მცირე რაოდენობით დარიშხანისაგან შეიცავს (ტაბ. XI<sub>12, 14, 7, 8, 9, 10</sub>).

ბალთისმავარი ნიეთის (ტაბ. XI<sub>11</sub>) შედგენილობაში აღმოჩნდა დარიშხანი და ანთიმონი. მაგრამ სკვარბის პირველი. მიწარეებიდან აღმოჩნდა რკინა, კალა, ტყეია, ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი, ალუმინი და ვერცხლი.

აღსანიშნავია კილიტი (ტაბ. XI<sub>11</sub>). რომელიც მთლიანად ანთიმონისაგან არის ნაყეთები (92,2% Sn). მიწარეებიდან იგი შეიცავს დარიშხანს. რკინას, კალს, ტყეიას, ნიკელს, მანგანუმს, ალუმინსა და ვერცხლს. საერთოდ ქვასათლის ნიეთებში მრავლად არის წარმოდგენილი მთლიანად ანთიმონისაგან ნაყეთები სამკაულებში<sup>2</sup>.

შუა ბრინჯაოს ხანისაა აგრეთვე 1955 წელს სოფ. —————  
<sup>3</sup> О. М. Давларидзе, დასაზღვრული ნაშრომი, გვ. 27.



ნიეთის დასახელება	ტრ. №№	საფულე №№	საპროც. №№	აღმოჩენის ადგილი და წელი	გათხრის ხელმძღვანელი	Cu
1. შუბისპირი*				ნელი, 1949	ბ. კუტუნი	93,58
2. შუბისპირი*				ნელი, 1949	"	94,34
3. ზუბისპირი**	ტაბ. IX,	: 39	1	ნელი, 1949	"	ბ. ბეჭი
4. შუბისპირი**	ტაბ. IX,	176	6	ნელი, 1949	"	"
5. სატყვარი*		85	3	ნელი, 1949	"	"
6. სასაფეთქელ რეოლი თხელი ფორფიტისა**		50	3	ნელი, 1949	"	"
7. სა იმე დისკოსებრა**	ტაბ. IX,	54	3	ნელი, 1949	"	"
8. შუბისპირი	ტაბ. XI,	99	8	ქვასთალი, 1952	ო. ჯაფარიძე	94,1
9. შუბისპირი	ტაბ. XI,	95	8	ქვასთალი, 1952	"	95,60
10. შუბისპირი	ტაბ. XI,	9	1	ქვასთალი, 1952	"	96,00
11. შუბისპირი	ტაბ. XI,	98	8	ქვასთალი, 1952	"	96,00
12. ხელშუბისპირი	ტაბ. XI,	97	8	ქვასთალი, 1952	"	96,00
13. ხელშუბისპირი	ტაბ. XI,	102	8	ქვასთალი, 1952	"	96,18
14. შუბისპირი	ტაბ. XI,	6	1	ქვასთალი, 1952	"	88,51
15. შუბისპირი	ტაბ. XI,	7	1	ქვასთალი, 1952	"	88,9
16. შუბისპირი	ტაბ. XI,	8	1	ქვასთალი, 1952	"	85,54
17. სატყვარი	ტაბ. XI,	4	1	ქვასთალი, 1952	"	88,2
18. სატყვარი	ტაბ. XI,	2	1	ქვასთალი, 1952	"	87,01
19. სატყვარი	ტაბ. XI,	3	1	ქვასთალი, 1952	"	85,8
20. სატყვარი	ტაბ. XI,	1	1	ქვასთალი, 1952	"	85,8
21. სატყვარი	ტაბ. XI,	5	1	ქვასთალი, 1952	"	84,00
22. საიხში ნიჩბისებრა**	ტაბ. XI,	106	8	ქვასთალი, 1952	"	83,04
23. საი-თ დისკოსებრა**	ტაბ. XI,	111	8	ქვასთალი, 1952	"	ბ. ბეჭი
24. საი-თებრა**	ტაბ. XI,	: 31	1	ქვასთალი, 1952	"	"
25. სასაფეთქელი*	ტაბ. XI,	122	8	ქვასთალი, 1952	"	"
26. სასაფეთქელ რეოლი**	ტაბ. XI,	: 22	1	ქვასთალი, 1952	"	95,8
27. სასაფეთქელ რეოლი**	ტაბ. XI,	23	1	ქვასთალი, 1952	"	ბ. ბეჭი
28. ბალანსებარს ნიეთი** (თხელი ფორფიტისა)	ტაბ. XI,	: 26	1	ქვასთალი, 1952	"	93,93
29. ყოლტი**	ტაბ. XI,	136	8	ქვასთალი, 1952	"	80,1
30. საიხში	ტაბ. XI,	116	8	ქვასთალი, 1952	"	91,23
31. ლაბტისთავი	ტაბ. XI,	79	6	ქვასთალი, 1952	"	83,43
32. შუბისპირი	ტაბ. XI,	114	1	თლი, 1955	ბ. ტუბოვი	93,24
33. ხელშუბისპირი	ტაბ. XII,	126	2	თლი, 1955	"	90,06
34. სატყვარი	ტაბ. XII,	115	1	თლი, 1955	"	96,00

თლის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ხელშუბისპირი, შუბისპირი, და სატყვარი (ტაბ. XII-ე). აღნიშნული ნივთების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის შედეგად გარკვეა, რომ ისინი დამზადებულია დარიშხანის სპილენძისაგან. დარიშხანის რაოდენობა 3,8%-დან 8,7%-მდე აღწევს. კალა მხოლოდ ხელშუბისპირშია წარმოდგენილი კვალის სახით. სხვაგან იგი არ გვხვდება. მინარევებიდან ყველა ნივთში კვალის სახით შედის რკინა და ერთ-ერთ შუბისპირში კი ანთიმონი 0,7%-ის რაოდენობით (იხ. ცხრილი 11).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, შუა ბრინჯაოს ხანაში სოფ. ნულსა და სოფ. ქვასთალში ლათონის ნივთების დასამზადებლად გამოიყენებოდა როგორც დარიშხანის სპილენძი, ისე დარიშხან-ანთიმონის და კალანის ბრინჯაო. დარიშხანის სპილენძისაგან მხოლოდ

იარაღი უკეთებიათ (ნული, ქვასთალი, თლი), კალანის ბრინჯაოსაგან კი როგორც იარაღი, ისე სამკაულები (ნული, ქვასთალი), ხოლო დარიშხან-ანთიმონის ბრინჯაოსაგან მარტო სამკაულები უმზადებულია (ნული); ხშირად სამკაულები მთლიანად ანთიმონისაგან უკეთებიათ.

აქვე უნდა შევიხსნათ, რომ კალანის ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები გამოირჩევა თავისი დახვეწილი ფორმებით. უთუოდ მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კალანის ბრინჯაოსაგან ნივთები იარაღი (შუბისპირები, სატყვარები) ლაბლოვდება თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილ იარაღს და რამდენაღმე აგრეთვე ბრინჯაოს სამარხის უძველეს სამარხებში

\* ნივთები საანალიზოდ მოგვარდა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტმა ბ. ტუბოვმა.

• O. M. Димитриадис, დასახელებული ნაწარმი, გვ. 24  
• იქვე

Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb	Bi	Si	Ni	Mn	Al	P	Ag
არ არის	არ არის	0,28	0,1	1,5	არ არის	—	—	—	არ არის	—	—	—
<0,01	0,3	0,44	0,095	1,5	არ არის	<0,01	0,2	0,1	—	—	0,01	0,01
0,01	1-3	0,07	არ არის	>ბევრი	არის	0,01	0,5	0,1	—	—	0,01	0,01
<0,01	არ არის	0,02	"	არის	"	0,01	0,2	0,05	—	—	0,05	0,01
<0,01	<0,01	0,04	"	ბევრი	ბევრი	<0,01	0,1	0,15	—	—	—	0,01
<0,01	არ არის	<0,02	"	2,09	"	<0,01	0,1	0,01	არ არის	—	0,15	0,01
არ არის	—	კვალი	0,90	4,8	არ არის	—	—	—	—	—	—	—
"	"	"	0,42	3,8	"	—	—	—	—	—	—	—
"	"	არის	კვალი	3,8	"	—	—	—	—	—	—	—
"	"	კვალი	0,61	3,12	"	—	—	—	—	—	—	—
"	"	"	0,64	3,22	"	—	—	—	—	—	—	—
"	"	"	0,59	3,00	"	—	—	—	—	—	—	—
6,64	3,83	არ არის	არ არის	არ არის	კვალი	—	—	—	—	—	—	—
9,53	არ არის	კვალი	კვალი	"	"	—	—	—	—	—	—	—
12,05	1,18	არ არის	"	კვალი	"	—	—	—	—	—	—	—
10,45	არ არის	"	"	0,35	"	—	—	—	—	—	—	—
11,75	"	"	არ არის	0,7	"	—	—	—	—	—	—	—
13,16	"	"	კვალი	0,4	"	—	—	—	—	—	—	—
13,34	"	"	"	არ არის	"	—	—	—	—	—	—	—
14,00	1,07	"	"	კვალი	"	—	—	—	—	—	—	—
10,72	3,0	0,66	არ არის	1,19	"	0,05	0,5	0,07	არ არის	კვალი	0,01	0,01
0,0	0,5	0,06	"	0,7	"	0,05	0,1	0,1	—	—	0,05	0,01
6,5	0,6	0,20	"	1,6	არის	0,05	0,005	0,63	—	—	—	0,01
0,0	0,05	0,02	"	არის	"	0,03	0,001	0,02	—	—	—	0,01
11,97	0,01	0,10	"	2,6	"	<0,01	0,07	0,2	—	—	—	0,01
0,7	0,01	0,10	"	არის	"	<0,01	0,07	0,2	—	—	—	0,01
<0,01	<0,01	0,07	"	4,12	ბევრი	<0,01	0,2	0,07	—	—	—	0,01
<0,01	0,08	0,08	"	არის	92,2	არ არის	0,5	0,02	კვალი	0,07	—	0,01
3,81	არ არის	კვალი	0,80	0,5	0,49	—	—	—	—	—	—	—
14,46	"	"	0,49	0,5	0,24	—	—	—	—	—	—	—
არ არის	"	"	არ არის	4,1	0,7	—	—	—	—	—	—	—
კვალი	"	"	"	8,7	არ არის	—	—	—	—	—	—	—
არ არის	"	"	"	3,8	"	—	—	—	—	—	—	—

ნაოქენ იარაღს. რაც შეეხება დარიშხანაინი სპილენძისაგან ნაკეთებ იარაღს, იგი საგრძნობლად განსხვავდება კალიანი ბრინჯაოს ნივთებისაგან როგორც დამზადების ტექნიკით, ისე ფორმის მხრივ. პირველი გაცილებით უფრო ტრანქადაა ნაკეთები და შედარებით უხეში ფორმისაა. ეს იარაღები თავისი ფორმით უახლოვდება ბრილის სამარხებში აღმოჩენილ იარაღებს.

უთუოდ აღსანიშნავია სოფ. ქვასათალში აღმოჩენილი ლახტის თავი და საკინძი, რომლებიც შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება<sup>1</sup>. ორივე ნივთი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. მინარევებიდან შეიცავს დარიშხანს, ანთიმონსა და თუთიას. რკინა კვალის სახით აღმოჩნდა.

სამხრეთ ოსეთში სადღესიოდ სპილენძის მადნის საწარმოო მნიშვნელობის საბადოები არ მოგვემოვება. მკირე გამოსავლები ცნობილია სტალინგრის

მაბლობლად სოფ. ნადარბაზევსა და ჩასაქალთაბ<sup>2</sup>. ასევე არც ანთიმონის რაიმე გამოსავლებია ცნობილი აქ. შესაძლებელია სპილენძის მადანი აქ-მეზობელი რაიონებიდან შემოქონდათ (რაკა, სვანეთი და სხვ.).

შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება აგრეთვე საბგერებელი მახვილი № 2279 სამთავროდან<sup>3</sup>. ჩვენთვის ცნობილია ამ მახვილის ქიმიური შედგენილობა. მახვილი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. სპილენძის შეიცავს 90,23%-ის რაოდენობით, კალას—6,78%, ტუვიას—1,53% ანთიმონს—1,16% და რკინასა და ალუმინს—0,15%-ს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Минеральные ресурсы ССР Грузии, стр. 555.  
<sup>2</sup> В. А. Кухтия, Археологические раскопки в Трнавети, стр. 99.  
<sup>3</sup> ლმთათიძე, ბრინჯაოს მახვილები და სატყეობი სადესტრუქციო ნაშრომი, თბილისი, 1944, გვ. 363.  
<sup>4</sup> იქვე.

<sup>1</sup> О. М. Димаридзе, დასახლებული ნაშრომი, გვ. 28.

თავის დროზე გ. ლომთათიძე ფიქრობდა, რომ ეს მახვილი ეგვიპტურა წარმომავლობისა უნდა იყოს და მას ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარს მიაკუთვნებდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში პიერიკავასის ტერიტორიაზე კიდევ აღმოჩნდა ორი ამგვარივე მახვილი საღვ. კოლაგვიანთან--ძორაპების მდამოებში და ალავერდის ჩაოწმის სოფ. ყაჩაღანთან. ამ გარემოებამ ზოგიერთ მეკლევარს საშუალება მისცა ამ ტიპის მახვილებს წარმომავლობის საკითხი სხვაგვარად დაეყენებიათ. ჭერ კიდევ დანაჩენი ორი მახვილის ქრონოლოგიური შედგენილობა ცნობილი არ არის, ჩასაც უფროდ გარკვეულ მნიშვნელობა ექნებოდა მათი წარმოშობის საკითხის გადარწმუნებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავროლო მახვილის მსგავსი შედგენილობის ნჯეთები ამ პერიოდში საქართველოში უკვე ვარგად ცნობილი (ოსეთი, ჩუპა, ღრმაღლეკე). ამიტომ, მთლად უსაფუძვლო არ უნდა ჩანდეს იმ მეკლევართა მოსაზრება, რომელთაც დასამუშევად მიიჩნიათ აღნიშნული მახვილის დასამუშაველი სახელსწრის მთი ადგილების ტერიტორიაზე არსებულიყო.

შუა ბრინჯაოს ხანისა აგრეთვე ჩვენს მიერ ქრონოლოგიურად შესწავლილი ცული (№ 2—36:1) ღრმად აღედგინა (შემთხვევით აღმოჩენილი 1936 წ.), რომელსაც პროფ. ბ. ედვინი პრადულ-საბრძოლო ჩუგუტვად მოიხსენებს (ტაბ. XXIX)<sup>1</sup>.

ამვე პერიოდისაა სატევარი (№ 1—47:2) დიდი ახალსოფლოდან.

როგორც ამ ნივთების შესწავლის შედეგად გარჩევა, ცული № 2—36:1 და სატევარი № 1—47:2 აქლინი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. ღრმაღლის ცული კლას შეიცავს 7,08%-ის, ხოლო სატევარი--5,44%-ის რაოდენობით. სხვა მინარევებიდან ცულში აღმოჩნდა ტყვია—1,27%, თუთია—0,02%, ანთონი—0,1% და დარიშხანი—0,966/ის რაოდენობით.

ღრმაღლის ცული ჩამოსხმულია ქვის ორსაგდულთან ყალბში. ყუაზე მას ემჩნევა სხმული ორ-

ნაშენი. ცულის სველ ნაწილში შემჩნეული იყო ჩაქდომის სიფხვიერე და აირის ნიჟარები. გაპრი-ალებულ შლიფზე შენიშნული იყო, რომ ცულს დეფორმაცია არ გაუვლია. სტრუქტურა იძლევა სხმული ლითონისათვის დამახასიათებელ დენდრი-ტებს<sup>2</sup>.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ჩანს, შიდა ქართლში შუა ბრინჯაოს ხანაში მეტა-ლურგია საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა. ამას უფროდ მოწმობს ისიც, რომ ამ უკვე ფართოდაა გამოყენებული ბრინჯაოს სხვადასხვა სახეობა.

ამრიგად, როგორც შესწავლის შედეგად გარჩევა, შუა ბრინჯაოს ხანაში, ჩვენში, სხვადასხვა რაიონში ლითონის ნივთების დასამუშავებლად განსხვავებული შედგენილობის ბრინჯაო უხმარიათ.

გურიაში, ჭერ კიდევ, დარიშხანიანი სპილენძია გამოყენებული, რომელიც თავისი შედგენილობით თითქმის სრულიად არ განსხვავდება ადრე ბრინჯაოს ხანაში მხარებული ლითონისაგან.

აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილი ლითონის ნივთები ანთომონის შემცველობის მხრივ განსხვავდება ადრეული ბრინჯაოს ხანის ნივთებისაგან. თუ ადრე ბრინჯაოს ხანის დოლმენურ ნივთებში დარიშხანის მნიშვნელოვან რაოდენობასთან ერთად, ანთომონსაც ვხვდებით მცირე რაოდენობით, შუა ბრინჯაოს ხანაში მისი რაოდენობა 12% აღწევს და თითქმის მართა სამკაულებშია დამოწმებული.

ამ პერიოდში აშკარად ჩანს, რომ ანთომონს უკვე იცნობენ, იციან მისი გავლენა სპილენძის თვისებებზე და იყენებენ მხოლოდ სამკაულთა დასამუშავებლად. იარაღისათვის კი ძველ ტრადიციას მიხედვით ჭერ კიდევ გამოყენებულია დარიშხანიანი სპილენძი, როგორც უფრო სავალი და მტკიცე ლითონი.

გარდა აღნიშნულისა, ამ ხანაში აფხაზეთში ფართო გამოყენებას პოულობს მთლიანად ანთომონისაგან დასამუშავებული სამკაულები.

დაახლოებით ამგვარივე სურათი ვეპოვნის რაჭაში. აქ იარაღის დასამუშავებლად გამოყენებულია და-

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე, დასამუშავებული ნაშრომი, გვ. 363.  
<sup>2</sup> ტ. სეზანიშვიდი, სამთავროს ყოჩაღნული სამარხი № 243, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I. სპ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 19.  
<sup>3</sup> Б. А. Кзышев, Археологические раскопки в Трп-ахети. გვ. 17.

<sup>1</sup> დ. ქობიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 78.  
 ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, ნ. დვალი, თბილისის მიდა-მობში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების დასამუშავების ტექნოლოგია, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. ზუზუ-უბის მოამბე, ტ. XVII—A, თბილისი, 1956, გვ. 140.

არშხანიანი სპ.ლენძი, ხოლო საკულტო-სარიტუ-  
ალო დანიშნულების ცულისა და სამკაულებსა-  
თვის კ—დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო.

შუა ბრინჯაოს ხანაში, რაქაში უკვე ხდებდა ანთი-  
მონის შეგნებულ გამოყენება და აქაც ისევე.  
როგორც აფხაზეთში, მას ძირითადად სამკაულთა  
დასამზადებლად იყენებენ. იპარას კი მხოლოდ  
დარიშხანიანი სპილენძისაგან აკეთებენ. ამიტომ  
გ. ვობეჯიშვილის მიერ გამოთქმული მონაზრება,  
რომ თითქოს „ლითონის ნივთთა უმეტესობა ნა-  
კედია ან ჩამოსხმულია ანთიმონიანი ბრინჯაოსა-  
გან“ მთლად მართებული არ უნდა იყოს. ისეთი  
ლითონის კედვა, რომელშიც ანთიმონი 1%-მდე  
იმყოფება, შეუძლებელია. ვინაიდან ანთიმონი  
ლითონს სიმკვრივეს მატებს და ქედვის დროს ასეთი  
ლითონისაგან დამზადებული ნივთი უფროდ და-  
რისხვარეობდა.

კალის გამოყენების მხრივ სხვა რაიონებთან  
შედარებით ერთგვარად განსხვავებულ სურათს  
გვაძლევს რაქა. ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოკიდე-  
ბული კალა ყველგან მხოლოდ შემთხვევითი მიწ-  
რების სახით არის წარმოდგენილი. ჩვენითვის ცნო-  
ბილ შუა ბრინჯაოს ხანაში რაქის მასალებიდან  
კალა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო დამოწმებუ-  
ლი, მაგრამ ისეთი დიდი რაოდენობით (13,02%),  
რომ აშკარა იგი ხელოვნური დანამატია კახისისა.  
როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან რაქაში უკვე იწყე-  
ბა კალის გამოყენება.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა მეტალურ-  
გიის განვითარების თვალსაზრისით შუა ბრინჯაოს  
ხანის მასალა შიდა ქართლიდან, კერძოდ კი თანა-  
მედროვე სამხრეთ ოსეთიდან. სხვა რაიონებთან  
შედარებით, აქ, ამავე ხანაში, დარიშხანიანი სპი-  
ლენძისა და დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაოს  
გარდა, გამოყენებული ყოფილა კალიანი ბრინჯაო.  
კალიანი ბრინჯაოდანაა დამზადებული აგრეთვე  
სამკერებელი მახვილი (სამთავროდან).

დარიშხანიანი სპილენძისაგან, ძველი ტრადიციის  
მიხედვით, იარაღი უმზადებიათ, დარიშხან-ანთიმო-  
ნიანი ბრინჯაოსაგან კი — სამკაულები. კალიანი  
ბრინჯაო აქ გამოუყენებიათ როგორც იარაღის, ისე  
სამკაულებისათვის.

ამრიგად, შუა ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში  
ბრინჯაოს დანამატად კალა და ანთიმონი უხმარ-  
იათ.

იგივე სურათს გვაძლევს ამ პერიოდის შემთხვე-  
ვით აღმოჩენილი ნივთებიც. აქაც ძირითადად და-  
რისხანიანი სპილენძის გამოყენებული (ყუამილი-  
ანი ცული სეანეთიდან, ღუზისა და კოვზის ფორ-  
მის საყიდები ქარეთიდან). ზოგ შემთხვევაში კალა  
უხმარიათ. საყურადღებოა, რომ კალიანი ნივთები  
ისევე ძირითადად შიდა ქართლში გვხვდება (ღრმა-  
ღელის ცული, სატეგარი დიდი ახალსოფლიდან).

როგორც შესწავლის შედეგად გაირკვა, შუა  
ბრინჯაოს ხანაში, დრე ბრინჯაოს ხანისაგან  
განსხვავებით, ლითონის ნივთების დასამზადებლად  
სხვადასხვა შედგენილობის ბრინჯაო უხმარიათ. შე-  
იძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში დარიშხანიანი  
სპილენძი ჯერ კიდევ არ კარგავს თავის მნიშვნე-  
ლობას, მაგრამ ამ პერიოდში უკვე იწყება დარიშ-  
ხან-ანთიმონიანი და კალიანი ბრინჯაოს გამოყენება.  
დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო, ჩანს, ძირი-  
თადად გამოყენებას პოულობს სამკაულთა დასამ-  
ზადებლად, კალიანი კი — როგორც იარაღისათვის,  
ისე სამკაულებისათვის.

უფროდ საინტერესოა, ჩვენი მასალის შედარება  
ამავე პერიოდის ჩრდილო კავკასიისა და ყიზილ-  
ვანქის (აზერბაიჯანის სსრ) მასალასთან. ვ. დანილევ-  
სკი<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მასალა  
მდ. ყუბანის აუზშიან (კელერანეს, კოსტრომსკისაი,  
პრივოლნოე, ხამიშკი, ულსკი აული და მდ. ბელაიას  
სათავე) და ცენტრალური კავკასიის ჩრდილო კალ-  
თებიდან (დიგორია, კამუნტა, ყობანი, ზემო ჩეგე-  
მი) დამზადებულია სპილენძისაგან, რომელიც მტო-  
რე რაოდენობით შეიცავს მინარევეებს. სპილენძის  
რაოდენობა ამ ნივთებში მერყეობს 90,65%-  
დან 99,08%-მდე. მინარევეებიდან აღსანიშნავია და-  
რისხანი, რომლის რაოდენობა კვალდან 2,03%-  
მდე აღწევს, და ტყვია, რომელიც მასში კვალდან  
0,79%-მდე შედის. ანთიმონი, უმეტეს შემთხვევა-  
ში, კვალის სახით არის წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, ამ პერიოდში აქ ჯერ კიდევ არ  
ყოფილა გამოყენებული სპეციალური დანამატი  
(კალა და ანთიმონი) და ლითონის ნივთები უშუა-  
ლოდ სპილენძისაგან უმზადებიათ. სპილენძის შედ-  
გენილობაში შემავალი ვლემენტები კი (დარიშ-  
ხანი, ტყვია, ანთიმონი) მადნის მინარევეია და უშუა-

<sup>1</sup> ვ. ვობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთავრო და  
მეტალურგიული წარმოების ნათესი სოფ. ღებთან, საქ. სსრ  
შენ. აკად. შრომები, ტ. XIII, № 3, 1952, გვ. 189.

<sup>1</sup> В. В. Данилевский, Историко-технологические ис-  
следования древних бронзовых и медных изделий  
с Кавказа и Северного Урала, Известия ГАИМК, Вып.  
110, 1935, стр. 224—225.

აღოდ მისგან უნდა იქონიას გადასული ლითონში. ჩვენ ნივთებისაგან განსხვავებით აქ დარბზანისა და ანთონის რაოდენობა დაკლებულია.

ვ. დანრუსკის<sup>1</sup> მოცემული აქვს ყიზილ-ვანქის ბრინჯაოს 11 ნივთის ქიმიური შედგენილობა: ოთხი ქიმიკანისი. სამი სპეკტრი. ორი სატევარი და ორი ისრისპირი. აღნიშნული ნივთებიდან მხოლოდ ორი ნივთის რაოდენობით ანალიზის შედეგებია მოცემული, ხოლო დანარჩენი ნივთებისა კი — სპექტრული.

როგორც ირკვევა, აქაც შუა ბრინჯაოს ხანაში უკვე ჩანს კალის გამოყენება. კალის ეხედებით როგორც სამკაულში ( $\frac{46}{ინგ.139}$ ), ისე იარაღში ( $\frac{44}{ინგ.110}$ ).

სპექტრული მიკროქიმიური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ კალა უკვეა ნივთშია წარმოდგენილი, მაგრამ მისი რაოდენობა ჩვენთვის უცნობია: ამიტომ არ შეგვიძლია დაბეჭოთებით ვთქვათ. რომ უკვეა ნივთი კალანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. მინარეებიდან აქ წარმოდგენილია ტყვია, რკინა, დარბზანი, ანთიმონი და ვერცხლი. მინარეების სიმრავლე უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქ აპოლენძი. ჰოლომეტ-ლური მადანია გამოყენებული.

როგორც ჩანს, ყიზილ-ვანქის შუა ბრინჯაოს ხანის ნივთები თვისი ქიმიური შედგენილობით საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ამავე ხანის ნივთების მსგავსია და კალიანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული.

ამოგად. როგორც აღვინახეთ. ჩვენში კალის გამოყენება იწყება შუა ბრინჯაოს ხანაში. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესოა, რა თქმა უნდა. კალის მოპოვების საკითხი.

ცნობილია, რომ კალის რაოდენობა დედამიწის ჰერქში მცირეა და შეადგენს  $6 \cdot 10^{-4} \%$ -ს.<sup>2</sup> თუთნაბადი სახით იგი ძალიან იშვიათად გვხვდება.

კალის ძირითად მადანს წარმოადგენს კასიტრიატი, რომელიც კალის შეიცავს კალის ორტანგის ( $SnO_2$ ) სახით. კასიტრიატის ფერის მისში შემავალი მინარეები განსაზღვრავს. ყველაზე ხშირად ის

არის შავი ან შუქი ყავისფერი, ზოგჯერ წითელი, მონითალა-ყვითელი ან ყვითელი ფერის. სუფთა კასიტრიატი კალას შეიცავს 78,76%-ის რაოდენობით.<sup>3</sup>

კალის მეორე მადანი, რომელსაც კასიტრიატთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, არის სტანიტი (სტანიტი), ე. წ. კალის კოლჩედანი ( $Cu_2S \cdot FeS \cdot SnS_2$ ). სტანიტი შეიცავს 27,5%-მდე კალას, 29,9% გოგირდს, 29,5% სპილენძს და 13,1% რკინას.<sup>4</sup> სტანიტის ფერით მინარეების გავლენით ზოგჯერ ნაყრისფერია და ზოგჯერ კი ყვითელი.

აღსანიშნავია, რომ სტანიტი ნაკლებად არის გავრცელებული ბუნებაში და უმთავრესად კალის მარცვლებში გვხვდება.<sup>5</sup> ბოლოს კალას შეიძლება შეიცავდეს სპილენძის ზოგიერთი მადანი. ამგვარი მადნიდან გამოდნობილი ლითონი, ბუნებრივია, შეიცავს იმ კალას, რომელიც იმყოფებოდა მადანში.<sup>6</sup>

კალის შემცველ მინერალებიდან საწარმოო მნიშვნელობა აქვს კასიტრიატს (კალის ქვა). საფიქრებელია, რომ ბევლად კალის მისაღებად უპირატესად კასიტრიატის მადანს იყენებდნენ.

ჩა თქმა უნდა, მეტად საყურადღებოა საკითხი კავკასიაში კალის არსებობის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს საკითხი უკვე არგაზანია ანტერეესებს შეეწინებებს და დღემდე ამ საკითხის შესახებ ერთი გარკვეული აზრი მაინც არ არსებობს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი რიგი მკვლევარები იმ აზრის იყენენ, რომ კავკასიაში და კერძოდ კი საქართველოში არსებობდა კალის მდიდარი საბადოები (ფურნე, რუემონი, ლენორმანი, მსპერო და სხვ.)<sup>7</sup>. ზოგი მათგანი, როგორც, მაგალითად, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ფ. ლენორმანი და სხვ. იმასაც კი აღნიშნებდნენ, რომ კავკასია კალის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის

<sup>1</sup> A. B. Багдасарянц, М. В. Зейцев, А. К. Пьерваков. Производство олова, ГОНТИ. М.—Л., 1939, стр. 24.

<sup>2</sup> Э. С. Давя, დასაბუღებული ნაშრომი. გვ. 72.

<sup>3</sup> Н. А. Сакндер, Бронза и природя в история с древнейших времен, СПб, 1908, стр. 29, 30.

<sup>4</sup> В. А. Богвевский, История техники. т. I, Изд. АН СССР, М.—Л., 1936, стр. 385.

<sup>5</sup> Н. Otto, W. Witter, Handbuch der ältesten Vorgeschiehtlichen Metallurgie in Mitteleuropa, 1952, გვ. 27, 29.

<sup>6</sup> А. А. Нессен, Слово Кавказе, Изд. ГАНМК, Вни. 110, 1935, стр. 193.

<sup>7</sup> В. А. Кудряш, Материалы к археологии Кавказа, т. I, Тбилиси, 1949, გვ. 204.

<sup>1</sup> В. Я. Данилевский, დასაბუღებული ნაშრომი, გვ. 247.

<sup>2</sup> М. П. Савицкий, Физико-химические свойства элементов, Металлургия, 1952, стр. 308.

ქვეყნებისათვის<sup>1</sup>. ამ მეკლევარებს თავისი დასკვნები ძირითადად გამოყავდათ იმ ძველი ლიტერატურული ტრადიციების საფუძველზე. რომელიც კავკასიის ხალხებს შერდ დაწინაურებულ მეტალურგიას მაწერდა. მაგრამ XIX საუკუნის ბოლოსათვის უკვე მთელმა კოხმა მეკლევარებმა საკლდე საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვეს. ამთან პირველ რიგში აღსანიშნავია აკად. ე. ბერი, რომელმაც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების შრომებში სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა ძველი ბრინჯაოს ნივთებში შემავალი კალის მპოვეების საკითხთან დაკავშირებით. მას მკვყვის ლენორმანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასიის იბერია ბრინჯაოს წარმოშობის ერთერთი საშობლობთაგანი უნდა ყოფილიყო და რომ აქ უნდა არსებულიყო კალის საბადოები. ე. ბერი აღნიშნავს, რომ ე. მოსაზრებ. იმდენად იყო გავრცელებული, რომ ზოგიერთი იტალიოსი მას უკვე დამტკიცებულად თვლიდა. მას იმ პერიოდში არსებული გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საუკუოდ მიანიჩა კალის საბადოებში არსებობა<sup>2</sup>.

ამ პერიოდისათვის კავკასიის ბრინჯაოს კულტურის უკვე ფართო მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ახლა, გარდა არსებული ლიტერატურული ტრადიციებისა, ცნობილ ხდება აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ძეგლები. ინტერესი ამ სიძველეებისადმი სულ უფრო და უფრო იზრდება. სხვა საკითხებთან ერთად. სათანადო ყურადღება ეცემა აგრეთვე კალის საკითხსაც. მეკლევართა უმრავლესობა იმ მოსაზრებას დაადგა, რომ კავკასიაში არ უნდა არსებულიყო კალის შექველსი წარმოება. კიდევ მეტიც. როგორც ცნობილია, ამ პერიოდისათვის საბოლოოდ იმარტებს რ. ვირხოვის, ე. შანტრის<sup>3</sup> და სხვათა დებულება იმის შესახებ. რომ ბრინჯაოს მეტალურგია კავკასიაში იწყება მხოლოდ II და I ათასეულის მიჯნაზე. რ. ვირხოვის და ე. შანტრის ეს მოსაზრება იმდენად იყო გაბატონებული, რომ უკანასკნელ ხანებამდე ბრინ-

ჯაოს მეტალურგიის საკითხს თითქმის აღარავინ ეხებოდა.

უნდა აღინიშნოს, სამწუხაროდ, რომ სადღეისოდ საკითხი კავკასიაში კალის არსებობის შესახებ მანცადამაინც შორს არ წასულა. დღესაც ვერ კიდევ ერთი გაჩვეული აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. კავკასიაში კალის არსებობის საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა არქეოლოგმა ა. იესენმა. იგი ფართოდ იყენებს ისტორიულ. გეოლოგიურ და სხვა მონაცემებს და საბოლოოდ ამ დასკვნამდე მიდის, რომ სადღეისოდ არსებული მონაცემები უკვე სივსებით საკმარისია იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, რომ კალა კავკასიაში არამც თუ უნდა იყოს. არამედ უთუოდ არისო<sup>4</sup>. თუმცა თავ. ბერი უნდა იმეორებდეს ა. იესენის აღნიშნავს, რომ კავკასიაში კალის მომარაგების წყარო ვერ კიდევ გაურკვეველია.

ბ. კუფტარის უმერის სამართავნო აღმოჩენილი კალის ხატის უღელთან დაკავშირებით საკმაროდ ვრცლად ჩერდება აგრეთვე კალის საკითხზე. იგი მინის იმ. ზისსა. რომ კალა კავკასიაში გარედან შემოტანილი უნდა იყოს და ეძებს კიდევაც იმ შესაეს. საიდანაც უნდა შემოტანილი იგი. ბ. კუფტარისი ფიქრობს. რომ კალის ძირითადი წყარო სადღაც ხმელთაშუა ზღვის აუზში უნდა ყოფილიყო<sup>5</sup>.

ამ საკითხის სწორი გადაჭრას უთუოდ ართულებს ის, რომ დღემდე კავკასიაში არაად არ არის აღმოჩენილი კალის საბადოები, მოუხედავად იმისა. რომ ფართოდ წარმოება სათანადო საძიებო სამუშაოები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის განარტოვანი ინტრუზიებისათვის კალა უცხო არ უნდა იყოს. ზოგიერთი მეკლევარი ამასაც კი აღნიშნავს, რომ გეოქიმიური თვალსაზრისით კალის არსებობა კავკასიაში გაუგებარია. ამეამდ უკვე აღმოჩენილია კალის ქვის თანამზღუერი მინერალების მთავარი ელემენტებო. ახლა ძირითადი ამოცანა მდგომარეობს თუთ კალის ქვის აღმოჩენაში. რაც მომავალ კვლევამების საგანს შეადგენს.

<sup>1</sup> Fr. Lenormant, Les premières civilisation Etudes d'histoire et d'anthropologie, V. I, Paris, 1874, pp. 146-152.

<sup>2</sup> Ф. Лавриков, Руководство к древней истории Востока, т. I, Киев, 1879, стр. 527.

<sup>3</sup> К. Вер, Откуда добывалось олово, входящее в состав древнейшей бронзы. Древности, Тр. Московского арх. общ-ства, т. VII, Вып. 3. Москва, 1878, стр. 234-235.

<sup>4</sup> იქვე, стр. 235.

<sup>5</sup> А. А. Нессев, Олово Кавказа, ГАНМЕ, Вып. 110, 1935, стр. 196.

<sup>6</sup> А. А. Нессев, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАНМК, Вып. 120, М.-Л., 1935, стр. 163.

<sup>7</sup> В. А. Купца, Материалы к археологии Кавказа, т. I, Изд. «Техника да шрома», Тбилиси, 1949, стр. 211.

<sup>8</sup> А. А. Нессев, Олово Кавказа, стр. 195.

<sup>9</sup> Минеральные ресурсы ССР Грузии, стр. 857.

როგორც ჩანს, კალს საკითხი სადღეისოდ ჯერ კიდევ ლოდ ჩნება. მარცხ გარკვევით რაიმეს თქმა ჯერჯერობით მეტად პირს. მაგრამ ასეა თუ ისე, არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ჩვენში კალს გამოყენება იწყება შუა ბრინჯაოს ხანაში და ბრინჯაოს კულტურის გვიანდელ საფეხურზე კალიანი ბრინჯაო ეკვასიაში უკვე გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს.

კალიანი ბრინჯაოს გამოყენებასთან დაკავშირებით უფროდ საინტერესოა ამ შენადნობის ზოკერითი დამახასიათებელი თვისებების აღნიშვნა.

კალიანი ბრინჯაო ხასიათდება მაღალი მექანიკური და ფიზიკური მახველებლით. კალს რაოდენობის გაზრდასთან ერთად იზრდება შენადნობის სისლად, დროებითი წინაღობა<sup>1</sup> და სიმკვრივის კოეფიციენტი; უმჯობესდება ჩამოსხმის თვისებები და ამავე დროს მცირდება შენადნობის პლასტიკურობა და დნობის ტემპერატურა.<sup>2</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია კალიანი ბრინჯაოს ძარბადი და სხვა ბრინჯაოთაგან განმასხვავებელი თვისება—ხაზობრივი ჩაჭდომის მცირე კოეფიციენტი. კალს 6.5% შემცველობისას ხაზობრივი ჩაჭდომის კოეფიციენტი 1,45%-ის ტოლია, ხოლო 10% კალს შემცველობისას 1,44—1,28%-ია.<sup>3</sup> ამ თვისების გამო იგი თანამედროვე მეტალურგიაში ცნობილ ყველა სახის ბრინჯაოზე უკეთეს შენადნობად ითვლება.<sup>4</sup>

ბრინჯაოს ცივად ჰვდება დასაშვებია კალს მხოლოდ 6—7%-მდე შემცველობის შემთხვევაში. 6%-ზე მეტი კალს არსებობის შემთხვევაში კი შენადნობის ცივად ჰვდება შეუძლებელია. ვინაიდან იგი მყვითა და იმსხვრევა. ამიტომ 6—7%-ზე მეტი კალს შემცველობის დროს მომართავენ ბრინჯაოს ჰვდვის ცივად მდგომარეობაში.<sup>5</sup>

ცნობილია, რომ რაც უფრო სუფთაა ლითონი (მინარეებისაგან), მით უფრო ჰვდობა იგი და პირველ რიგ უფრო მეტი ჩაოდენობით შეიცავს

მინარეებს. მით ნაკლებია შენადნობის ჰვდვის უნარი. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ბრინჯაოს ჰვდვით და გლინვით დამუშავების უნარი, პირველ რიგში, დამოკიდებულია მასში შემავალ კალს ჩაოდენობაზე.<sup>6</sup>

ჩვენ განვიხილეთ კალიანი ბრინჯაოს ძირითადი დამახასიათებელი თვისებები, ზემოთ შევჩერდით აგრეთვე დარიშხანიანი სპილენძის თვისებებზე. თუ შევედარებთ ერთმანეთს მათ თვისებებს ვნახავთ, რომ როგორც კალიანი ბრინჯაო, ისე დარიშხანიანი სპილენძი კარგი საჩამოსხმო თვისებებითა და მაღალი მექანიკური მახვევებლით ხასიათდება. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ დარიშხანიანი სპილენძი კალიან ბრინჯაოზე უკეთესად არის—მცირე ჩაჭდომის ხაზობრივი კოეფიციენტისა და მეტი პლასტიკურობის გამო. ისმის კითხვა—რამ გამოიწვია კალიანი ბრინჯაოს წარმოებაზე გადასვლა? მით უმეტეს, რომ საქართველოში მოიპოვება როგორც დარიშხანიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადნები, ისე თვით დარიშხანის მადნებიც, კალს მადლის არსებობის საკითხი კი ჩვენში სადღეისოდ გადაპირილი არ არის.

დარიშხანიანი სპილენძის გამოყენებიდან კალიან ბრინჯაოს წარმოებაზე გადასვლის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ დარიშხანიანი სპილენძის მადნიდან სასურველი თვისებების (ე. ი. შედგენილობის) ლითონის გამოდნობა არ შეიძლებოდა (ჩადგან დარიშხანი სპილენძის მადნის ბუნებრივი მინარევი იყო და არა სპეციალური დანამატი). მაშინ როდესაც კალიანი ბრინჯაოს გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან კალა ზელოვნურად შეიჭონდა, უკვე შესაძლებელი იყო ნებისმიერი თვისებები შენადნობის მიღება.

მეორე მიზეზად შესაძლებელია ჩათვალოს სპილენძის გოგირდოვანი მადნების წარმოებაზე გადასვლა და დახურული დნობის გამოყენება, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კალიანი ბრინჯაოს გამოყენება. დარიშხანიანი მინარეებიანი სპილენძის გოგირდოვანი მადნის გამოდნობის ტექნოლოგიური პროცესის თავისებურების გამო (დახურული დნობის გამოყენება, ამაზე ჰქვემოთ იქნება ლაპარაკი) მიიღებოდა მცირემინარეებიანი სპილენძი (და-

<sup>1</sup> В. Д. Туркин и М. В. Румянцев, Структура и свойства цветных металлов, Металлургиядат, 1947, стр. 205.

<sup>2</sup> Ю. М. Покровский, Очерки по истории металлургии, М.-Л., 1936, стр. 11.

<sup>3</sup> А. П. Сиврагин, Промышленные сплавы Металлы, и сплавы, Москва, 1949, стр. 266—267.

<sup>4</sup> А. А. Бочвар, Металловедение, Металлургиядат, 1956, стр. 441, 445.

<sup>5</sup> В. Д. Туркин, В. В. Румянцев, დახვედრული ნაშრომი, გვ. 207 და H. Otto, W. Witter, დახვედრული ნაშრომი, გვ. 42.

<sup>6</sup> \* ცდგვენიშნული, ლითონის წნეით დამუშავება, გამოცემის "ტექნიკა და შრომა", თბილისი, 1938, გვ. 12.

<sup>7</sup> Н. А. Барташев, Металлы, их свойства и применение, Гос. науч. техн. изд. по черной и цвет. металлургии, М.-Л., 1934, стр. 196, 197.

ჩიშნანი და ანთომონი მტორე ჩადენობით ვადა-  
ლოდა ლითონში, უმეტესი ნაწილი კი იყარებო-  
და). ასეთი ლითონი რბილი იყო და ცუდა საჩამო-  
ხმო თვისებებით ხასიათდებოდა. ამიტომ შისი სი-  
სალისა და სხვა მექანიკური თვისებების გაზრდის  
მიზნით მასში შეჰქონდათ სპეციალური დანამატი

კალის სახით. გვიან ბრინჯაოს ხანაში სავაჩაუდოა,  
რომ ძარითადად იყენებენ უკვე სპილენძის გოგრა-  
დოვან შადნებს და აღბათ ამ-ტომაცაა, რომ მეტა-  
ლურგის განვითარების ამ ეტაპზე ჩვენში დარიშ-  
ხანიან. სპილენძთან შედარებით კალანო ბრინჯაო  
ფართო გამოყენებას პოულობს.





## გვიანი ბრინჯაოს ხანა

. ბრინჯაოს ხანის გვიანდელ საფეხურზე ბრინჯაოს კულტურა ჩვენში თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას აღწევს. ეს პერიოდი ბრინჯაოს აყვავების ხანაა. იგი უშუალოდ წინ უსწრებდა ადრეულ რკინის ხანას. ამ პერიოდის ბოლოსათვის უკვე იწყებს გამოჩენას რკინის პირველი ნივთები. გვიანი ბრინჯაოს ხანა საქართველოში მოაყვას პერიოდს II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან I ათასწლეულის დასაწყისამდე.

ააწარმოო ძალთა განვითარება, რა თქმა უნდა, თავის მხრივ იწვევს მეურნეობის საერთო აღმავლობას, წინაურდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, ცხოველდება სადღებ-მიცემა ურთიერთობა ცალკეულ ტომებსა თუ ტომთა კავშირებს შორის და სხვ. ამის შედეგად სულ უფრო და უფრო ღრმავდება სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა.

როგორც აღნიშნული იყო, ბრინჯაოს მეტალურგია ამ პერიოდში თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ამ დროს უკვე ჩვენში ფართო გამოყენებას პოულობს კალიანი ბრინჯაო. ახლა გვხვდება ბრინჯაოს შესანიშნავი იაჯალ-საქურველი, სამკაული თუ სამეურნეო ხასიათის ნივთები. გვიან ბრინჯაოს ხანაში უნდა არსებულყო რამდენიმე საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერა. დასავლეთ საქართველოში ამგვარი ცენტრები უნდა ყოფილიყო კოროხის აუზში, რაკვალჩხუმში, აუხანეთში და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში მეტალურგიული ცენტრების არსებობა საუარაუდოა კახეთის ტერიტორიაზე, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და სხვ. რა თქმა უნდა, ამავდროს უნდა არსებულყო აგრეთვე უფრო წვრილი მეტალურგიული კერებიც.

როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის მთა თანდათანობით კარგავს თავის დაწინაურებულ მდგომარეობას.

მთასა და ბარს შორის ახლა უკვე საკმაოდ მკვიდრო ურთიერთობა ჩანს. ბარი კვლავ იზრუნებს ერთხანს დაკარგულ მოწინავე მდგომარეობას.

მთის ზონაში მცხოვრები მესაქონლე-მეტალურგი ტომები სულ უფრო და უფრო მკვიდრო ურთიერთობას ამყარებენ ბარში მცხოვრებ მიწათმოქმედ ტომებთან და ჩანს, უკვე ირღვევა მკვეთრი ზღვარი მთასა და ბარს შორის.

გვიან ბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, თანდათანობით იშლება ზღვარი ცალკეულ მცირე თუ უფრო მსხვილ ლოკალურ კულტურებს შორის და ახლა უკვე ერთგვაროვანი კულტურები გაიცილებით მეტ ტერიტორიაზე ვრცელდება. ეს გარემოება იმის ანარეკლი უნდა იყოს, რომ ამ პერიოდში ცხოველდება ურთიერთობა ტომებს შორის, იქმნება უკვე ტომთა დიდი კავშირები, ვითარდება ალბ-მიცემობა და სხვ. საქართველოში ბრინჯაოს კულტურის გვიანდელ საფეხურზე ძირითადად ეკლავება ორი კულტურული არე — დასავლურ-ქართული ანუ კოლხური და აღმოსავლურ-ქართული. სადღისოდ უკვე შესაძლებელი ხდება თითოეული ამ კულტურული წრის გავრცელების ტერიტორიის დადგენა და აგრეთვე ძირითადი წამყვანი ფორმების გამოყოფა: დასავლურ-ქართული კულტურისათვის — კოლხური ცული, სეგმენტისებრი იარაღი, თოხი, წაღლი და სხვ.; აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის — აღმოსავლურ-ქართული ცული, მახვილი, სატეგარი, ბრტყელი ცული და სხვ. ამ კულტურებს შორის ჩანს იმთავითვე საკმაოდ მკვიდრო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო.

გვიან ბრინჯაოს ხანის გარკვეულ საფეხურზე როგორც დასავლურ-ქართული, ისე აღმოსავლურ-ქართული კულტურებში ჩნდება პირველი რკინის ნივთები. VIII—VII საუკ. ძვ. წ. ჩვენში, ჩანს, უკვე

საბოლოოდ იმარჯვებს რკინის მეტალურგია და საფუძველი ეყრება განვითარების ახალ საფეხურს—აღრეულ რკინის ხანას.

## აფხაზეთი

აფხაზეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებიდან შესწავლილია მხოლოდ 1933 წ. სოფ. ეშერში აღმოჩენილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექცია<sup>1</sup> (ტაბ. VII ს-ა) და 1955 წ. ეშერის ერთ-ერთ დოღმენში ნაპოვნი მასალა (ტაბ. VIII 1-4). როგორც გარკვევა, ნივთები დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. ამ ნივთებში სპილენძის რაოდენობა იცვლება 83,3%-დან—89,75%-ის ფარგლებში, კალისა კი 1,5%-დან 15,46%-ის ზღვრებში. ამათან გამოჩენილი უცნობი დანიშნულების ნივთის ნატეხი (ტაბ. VIII ა), რომელიც დიდი რაოდენობით (5%) შეიცავს თუთიას, ხოლო კალა აქ დაკლებულია (1,5%). სხვა მინარეებიდან ნივთებში მცირე რაოდენობით შედის დარიშხანი, ტყვია, რკინა და ანთიმონი (იხ. ცხრილი 12).

უთუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში აფხაზეთში სამკულტო დასამზადებლად ძირითადად კალიანი ბრინჯაო გამოყენებულა. როგორც ჩანს, გვიან ბრინჯაოს ხანაში სამკულტებში ანთიმონს უკვე კალა ცვლის. კალაზე გადასვლა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გამართლებულია, ენაიდან, როგორც უკვე ითქვა, კალიანი ბრინჯაო საუკეთესო საჩამოსხმო თვისებებით ხასიათდება და სამკულტო რთული ფორმების მისაღებად ასეთი ბრინჯაოს გამოყენება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რაც შეეხება ფერს. კალიანი ბრინჯაო ოქროსფერია და ამ მხრივაც იგი სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალა აფხაზეთიდან შესწავლილი აქვს ა. ლუკინს. ეს ნივთები, ჩვენი ნივთების მსგავსად, უმთავრესად კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. კალის რაოდენობა ამ ნივთებში 0,05%/დან 13,72%-მდე აღწევს. ანთიმონი ყველა ნივთში მცირე რაოდენობით შედის და ერთ შემთხვევაში 2,65%/ს აღწევს. სხვა მინარეებიდან ერთ ნივთში დიდი რაოდენობით (3,30%) აღმოჩნდა ტყვია. დარიშხანი უკვლავ მცირე რაოდენობით არის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> დ. ლონტი, არქეოლოგიური ძეგლები სოფ. ეშერიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუზეუმში, ტ. XVII—B, 1935, გვ. 227—231.

<sup>2</sup> А. А. Лукин, Материалы по археологии Бзыньских Абхазии, Тр. отд. истории первобытной культуры, Гос. Эрмитаж, т. I, 1941, стр. 88—89.

ამრიგად, როგორც ჩვენს ხელთ მყოფი მასალიდან ჩანს, გვიან ბრინჯაოს ხანაში აფხაზეთში როგორც იარაღის, ისე სამკულტების დასამზადებლად უკვე ძირითადად გამოყენებულია კალიანი ბრინჯაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში აქ ჩანს კალის დიდი ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო. ამას ერთგვარად მოწმობს ეშერის სამარჯვანზე ნაპოვნი კალის რამდენიმე ხატის უღელი<sup>3</sup>.

თუ შევადარებთ ერთმანეთს შუა- და გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთებს ჩანს, რომ მეტალურგია ახლა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აღის. შუა ბრინჯაოს ხანაში აქ ძირითადად გამოყენებული იყო დარიშხანიანი სპილენძი, რომელსაც ზოგჯერ უფრო მხატვრული და სრულყოფილი სხმულის მიხედვად, უმჯობესდნენ ანთიმონის ხელოვნურად შეტანას თითქოს ისიც ადატურებს, რომ მას უპირატესად სამკულტებში ვხვდებით. უფრო მოგვიანებით, უკვე გვიან ბრინჯაოს ხანაში, ანთიმონის ადგილს კალა იკავებს. კალის რაოდენობა ამ პერიოდში მაქსიმუმს აღწევს (15,46%) და მას ეხვდება როგორც სამკულტებში, ისე საბრძოლო დანიშნულების ნივთებშიაც. ჩანს აგრეთვე ისიც, რომ კალიანი ნივთებში ზოგჯერ დარიშხანიც გვხვდება (მცირე რაოდენობით). ეს იმ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს, რომ როგორც წინაზე ხანაში, ისე გვიანი ბრინჯაოს პერიოდში, აფხაზეთის ნივთები ძირითადად წარმოებულია დარიშხანიანი სპილენძის მადნისაგან და დარიშხანი აქ უნებლიე, ბუნებრივი მინარეცაა მადნისა.  $\lambda$

## სამეგრელო

სამეგრელოს ამ პერიოდის მასალიდან შესწავლილია ოთხი ნივთი. ისიც მხოლოდ ლესიკინეს განძიდან (ორი ცული და ორი ზოლი).

როგორც გამოჩენია, ცულები ჩამოსხმული ყოფილა სპილენძისაგან, რომლის რაოდენობა 98,78%-დან 99,5%-ის ფარგლებში იცვლება. მინარეებიდან აღმოჩნდა კვალის საბით რკინა და მცირე რაოდენობით დარიშხანი (0,3 — 0,44%) (იხ. ცხრილი 13). აქ უურადლებას იქცევს სპილენძის დიდი რაოდენობა და მინარეების სიმცირე. ეს გარემოება ვაფიქრებინებს, რომ ეგებ აქ საქმე ეკავს თვითნაბად სპილენძთან ან კიდევ თითქმის დეალტრო სისუფთაობის ვანგულ მადნთან (რაც ნაკლებმოსალოდნელია).

ასეთი შედგენილობის ლითონისაგან ცულების ჩამოსხმით დამზადება, სპილენძის სიბლანტის გამო,

<sup>3</sup> Б. А. Кухтин, Материалы к археологии Кавказа, т. I, стр. 180, 199.

ნივთის დასახელება	სურ. №№	საინვენტ. №№	აღმოჩენის ადგილი და წელი	ვათხრის ხელშეკრულება	Cu	Sn
1. ცული კოლხური	ტაბ. VII,	1-33:1 მუხ.	ემერი		83,3	15,46
2. ხალა	ტაბ. VII,	1-33:4 მუხ.	ემერი		83,55	13,57
ბალაძე		1-33:4 მუხ.	ემერი		84,2	> ბუგრი
3. სარტყელი	ტაბ. VII,	13 სავ.	ემერი, 1955	რ. ჯაფარიძე	86,40	12,51
4. შუბისპირი	ტაბ. VIII,	1-33:7 მუხ.	ემერი		86,40	12,39
ტენტაევი (ტაბ. XXXIV<sub>9</sub>) 3,01%-ის რაოდენობით შეიცავს, მეორე ლატენტაევი (ტაბ. XXXIV<sub>4</sub>) კი 0,4%-ია დამოწმებული. ორივე ლატენტაევი სხვა მინარევეების სახით წარმოდგენილია ტყვია, რკინა, თუთია. ამათგან ყველაზე მეტი რაოდენობითა თუთია (1,5% და 1,0%). სპექტრული ანალიზით აღმოჩნდა ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი, ალუმინი, მაგნიუმი, ოქრო და ვერცხლი.

ისრის პირებიდან ფრთებჩამოშვებული ისრისპირი (№ 13, ტაბ. XXXVI<sub>1</sub>) კალს მხოლოდ კვალის სახით შეიცავს. მასში აღმოჩნდა 93,72% სპილენძი, 2,02% დარიშხანი; 0,2% ტყვია, 0,1% რკინა, კვალის სახით—თუთია, ანთიმონი, ბისმუტი, ალუმინი და ოქრო. მეორე ისრის პირი № 12 (ტაბ. XXXVI<sub>2</sub>) კი უფე კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. შეიცავს 91,43% სპილენძს და 5,69% კალს. კვალის სახითა ტყვია, რკინა, თუთია, დარიშხანი და ანთიმონი.

საინტერესო შედეგები მივიღეთ აზინდების (ტაბ. XXXV) ქიმიური შესწავლის შედეგად. აღსანიშნავია, რომ აზინდები ინკრუსტირებულია რკინით ან სხვა ლითონითა და მწვანე და შავი პასტით.

ყველა აზინდა დამზადებულია კალით უხვი ბრინჯაოსაგან. სპილენძის რაოდენობა იცვლება 79,07%-დან 89,7%-მდე, კალსა 9,5%-დან 13,3%-ის ფარგლებში. შეინიშნება დარიშხანისა და ანთიმონის შემცველობა, ამათგან ანთიმონის რაოდენობა უარბობს (1,69%, 1,66% და 1,4%). სხვა მინარევეებიდან ძალიან მცირე რაოდენობითა: ტყვია, რკინა, თუთია, ბისმუტი, სილიციუმი, ნიკელი, ალუმინი, ოქრო და ვერცხლი. ვოლფრამი მხოლოდ ერთ-ერთ აზინდაში (№ 15) აღმოჩნდა (ტაბ. XXXV<sub>1</sub>).

ეთრ-ერთ აზინდაში (ტაბ. XXXV<sub>2</sub>) ინკრუსტაციისათვის გამოყენებული ლითონის ქიმიური ანალიზით გამოირკვა, რომ იგი წარმოადგენს სპილენძის (60%), კალს (2,1%), ტყვიის (8,2%),

Pb	Fe	Zn	As	Sb	Bi	P	Si	Ni	Co	Al	Mn	Ag	Au	Mo	W
0,4 არის	0,1 არის	1,5 თხევრი	2,67 ბევრი	კვალი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
0,2 არის	0,1 არის	1,0 არის	კვალი	"	კვალი	არ არის	0,05	0,15	არ არის	კვალი	არ არის	არის	კვალი	არ არის	არ არის
0,2 არის	0,01 კლტა	"	"	"	კვალი	არ არის	0,1	0,1	არ არის	კვალი	კვალი	არის	არ არის	არ არის	არ არის
					0,005	არ არის	<0,01	0,03	არ არის	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	არ არის	არ არის

დარიზხანისა (19,99%) და ანთიმონის (1,2%) შენად-  
ნობს. სპექტრული ანალიზით დამატებით აღმოჩნ-  
და: ბისმუტი კვალის სახით, 0,5% სილიციუმი,  
0,07% ნიკელი, კვალის სახით მანგანუმი და ოქრო,  
ვერცხლი=1%-მდეა.

უღეს სამაჭურავი სპილენძს თითქმის თანაბარი  
რაოდენობით (89,32% და 89,6%) შეიცავს. ვანსს-  
ვაეებმა კალსა და დარიზხანში; თავებგახსნილ სამა-  
ჭურში (ტაბ. XX XVI<sub>1</sub>) აღმოჩნდა 6,76% კალა და  
0,60% დარიზხანი, მცირედთავეგახსნილ სამაჭურ-  
ში (ტაბ. XX XVI<sub>2</sub>) კი 9,52% კალა. დარიზხანი სულ  
არ შედის. სხვა მინარევები ორივე სამაჭურში  
თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი.

საქინებიც (ტაბ. XX XVI<sub>3</sub>) კალიანი ბრინჯაო-  
საგანაა დამზადებული. სპილენძის რაოდენობა  
80,55%-დან 85,54%-მდე აღწევს, კალსა კი—  
8,77%-დან 12,4%-მდე. მინარევებიდან აღსანიშნა-  
ვია ანთიმონი, რომელსაც მრავალფეროვანი საქინ-  
ძი 2,71%-ის რაოდენობით შეიცავს. ამავე საქინ-  
ში აღმოჩნდა აგრეთვე 0,966% დარიზხანი. დანარ-  
ჩენი მინარევები ორივე საქინში თითქმის თანაბარი  
რაოდენობითაა წარმოდგენილი.

უღეს ვანდიდან მხოლოდ ერთი მაშის (ტაბ.  
XX XVI<sub>4</sub>) შესწავლა მოგვიტრიადა. იგი დარიზხანი-  
ანი სპილენძისაგან არის - დამზადებული. შეიცავს  
94,9% სპილენძს, 2,67%-დარიზხანს, 0,4% ტყვიას,  
0,1% თუთიას, კვალის სახით: კალს, ანთიმონს,  
ბისმუტს, ალუმინს, ოქროს, 0,05% სილიციუმს,  
0,15% ნიკელს და 1% მდე ვერცხლს.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ უღეს ვანდიდან  
თავისი ქიმიური შედგენილობით მხოლოდ ორი  
ნივთი გამოირჩევა, სახელდობრ ფრთებამოშვე-  
ბული ისრის პირი და მამა, რომლებიც კალს  
კვალის სახით შეიცავს. მათ ქიმიურ შედგენილობა-  
ში შემავალ ძირითად კომპონენტებს სპილენძი და  
დარიზხანი წარმოადგენს.

დასასრულ, უღეს ვანძს მიეკუთვნება აგრეთვე

ორი სარტყელი. ამათგან ერთი ვიწროა (ტაბ.  
XX XVI<sub>5</sub>) მეორე კი განიერი (ტაბ. XX XVI<sub>6</sub>). ორი-  
ვე თხელ ფრთვარეანაა და ფრამენტების სახით  
არის წარმოდგენილი. ორივე სარტყელში სპილენძი  
თითქმის თანაბარი რაოდენობითაა (88,08% და  
87,3%). კალა ვიწრო სარტყელში 9,8%-ია, განი-  
ერში კი მეტი—11,86%. ორივე სარტყელში მინარე-  
ვების სახით წარმოდგენილია ტყვია, რკინა, ბისმუ-  
ტი, ნიკელი, კობალტი, მანგანუმი და ვერცხლი.  
ვიწრო სარტყელში კვალის სახით აღმოჩნდა და-  
რიზხანი და ანთიმონი, განიერში კი არა. სამაგარ-  
ოდ უფასკენელი შეიცავს—ოქროს. ვიწრო სარ-  
ტყელში გარდა აღნიშნულისა აღმოჩნდა აგრეთვე  
1% თუთია.

უღეს ვანძის ნივთების ქიმიური შესწავლის  
შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ვვიან ბრინჯაოს  
ხანაში აღნიშნული ნივთების დასამზადებლად კალ-  
ანი ბრინჯაო უმჯობააოთ. ჩანს, კალის ნაკლებობა  
აქ არ იყო, ვინაიდან იგი უმეტესად დიდი რაოდენ-  
ობით შედის ნივთებში. რაც შეეხება დარიზხანსა  
და ანთიმონს, ორივე ეს ელემენტი ისეთი რაოდენ-  
ობითაა წარმოდგენილი, რომ მანძის ბუნებრივ  
მინარევეზად უნდა ჩათვალოს; ასევე სხვა მინარე-  
ვებიც (რკინა, ტყვია, თუთია, ბისმუტი, სილიციუ-  
მი, ნიკელი, კობალტი, ალუმინი, მანგანუმი, ოქრო  
და ვერცხლი). გამოწყლის შეადგენს ერთ-ერთ  
აბზინდამი ინკრუსტაციისათვის გამოყენებულ  
ადგილმდნად შენადნობში შემავალი მინარევები  
(ტყვია, კალა, დარიზხანი, ანთიმონი და სპილენძი).  
აღნიშნული შენადნობი ხელოვნური კაზმითაა  
დამზადებული.

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ გარდა კალიანი  
ბრინჯაოსი უღეს ვანძის ნივთების დასამზადებ-  
ლად იშვიათ შემთხვევაში ნახარია აგრეთვე  
დარიზხანიანი სპილენძი, რომელიც კალს მხო-  
ლოდ კვალის სახით შეიცავს.

საინტერესოა უღეს აბზინდების ქიმიური



შედგენილობის შედარება ყობანისა და ვანის ამავე ტიპის აბზინდების ქიმიურ შედგენილობასთან. მათგან მსგავსი აბზინდების ქიმიური შედგენილობა სამწუხაროდ ქნობილი არ არის.

ყობანის ერთ-ერთი აბზინდა № 1—02:15 შემოვლთა სპირალური ორნამენტო და რკინის ფირფიტებით არის ინკრუსტირებული. იგი დამზადებულია კალით უხვი ბრინჯაოსაგან. შეიცავს 84,37% სპილენძს, 12,4% კალს, 0,69% ანთიმონს, 0,02% თუთიას, 0,08% რკინას, 0,25% ტუციას, 0,005% ბისმუტს, 0,01% სილიციუმს, 0,08% ნიკელს და კვალის სახით ალუმინს, მანგანუმს და ვერცხლს.

მეორე აბზინდა № 1—02:16 ყობანიდან რკინის სწორკუთხა, სამკუთხა და ცხოველის გამოსახლებულია ინკრუსტირებული. შეიცავს 86% სპილენძს, 7,22% კალს, 2,13% ანთიმონს, 0,04% რკინას, 0,30% ტუციას, 0,01% ბისმუტს, 0,01% სილიციუმს, 0,05% ნიკელს და კვალის სახით დარიშხანს, ალუმინს, ოქროს, ვერცხლს და მანგანუმს.

მესამე აბზინდა № 12—02:119 ვანიდან, კალით უხვი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა 82,08% სპილენძი, 13% კალა, 0,02% რკინა, 0,3% ტუცია, 0,02% ბისმუტი, 0,01% სილიციუმი, 0,02% ნიკელი, კვალის სახით ალუმინი, მანგანუმი და ვერცხლი. დარიშხანი არ არის. ანთიმონი კი 1%-მდეა.

შედარების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ყობანისა და ვანის აბზინდები მსგავსებას იჩენს უღეს ვანის აბზინდებთან, როგორც გარეგნულად, ისე ქიმიური შედგენილობის მხრივაც. ყველა ისინი კალით უხვი ბრინჯაოსაგანაა ნაკეთები და თითქმის ერთნაირ მინარევებს შეიცავს; როგორც უღეს აბზინდებში, ისე ვანისა და ყობანის აბზინდებში არ აღმოჩნდა ფოსფორი. ენაბლტი, მოლიბდენი და ვოლფრამი.

### სახეობი

შვიან ბრინჯაოს ხანაში კახეთი, ჩანს, აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მსოფლიო ინდუსტრიული ცენტრი უნდა ყოფილიყო. შერატ, სამწუხაროდ, ეს რაიონი დღემდე არქეოლოგიურად მეტად სუსტადაა შესწავლილი და მას აქამდე ძირითადად შემთხვევით აღმოჩენებს შედეგადაა დაგროვებული. კახეთიდან შესწავლილია ბაქურციხეში, საგარეოში, პატარძელში, კარდანახში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ამ პერიოდის მასალები.

• ბაქურციხე. შესწავლილია კახეთი ტიპის სატევრები, მახვილები, აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულები და შებისპირი (იხ. ცხრილი 26).

ხუთი სატევრიდან სამი № 12—32:56 (ტაბ. XXXI), 12—32:59 და 12—32:38 (ტაბ. XXXI) კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. სპილენძის რაოდენობა ამ სატევრებში იცვლება 86,00%-დან 89,90%-მდე, კალა 5,68%-დან 12,29%-მდე. მინარევებიდან ორ სატევარში (№ 12—32:58 და 12—32:59) აღმოჩნდა ტუცია 1,8% და 1,30%. სამივე სატევარი შეიცავს მცირე რაოდენობით დარიშხანს (0,3—1%-მდე). ანთიმონი მხოლოდ ერთ სატევარშია (№ 12—32:38) 0,5%-ის რაოდენობით. ზოგჯერ შეინიშნება რკინა და თუთია კვალის სახით (№ 12—32:58 და 12—32:38).

დანარჩენი ორი სატევარი (№ 12—32:39 და 12—32:39) კი დარიშხანიანი მინარევების შემცველი სპილენძის მადნიდან უნდა იყოს გამოდნარა. სპილენძის რაოდენობა ამ სატევრებში არის 91,3%-დან 95,4%-მდე, დარიშხანისა 1,92%-დან 2,46%-მდე და კალსა 0,76%-დან —1,07%-მდე. ერთ-ერთ სატევარში (№ 2—53:1) აღმოჩნდა ტუცია 4,12% და ანთიმონი 0,12%-ის რაოდენობით, ამ სატევრებში კალა, ჩანს, მადნიდან უნდა იყოს მოხვედრილი.

ბაქურციხის მახვილები კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები. სპილენძის რაოდენობა იცვლება 85%-დან 86,01%-მდე, კალა 10,96%-დან 12,16%-მდე. მინარევებიდან ერთ მახვილში (№ 12—32:33) (ტაბ. XXXI) აღმოჩნდა ტუცია 1,1% და მეორეში (№ 12—32:34) (ტაბ. XXXI) —დარიშხანი 0,7%-ის რაოდენობით.

აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულები კალიანი ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმული. სპილენძის რაოდენობა ამ ცულებში იცვლება 94,5%-დან 96,7%-მდე. კალა ორივე ცულში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა (3,03—3,37%). ერთ ცულში (№ 11—32:45) (ტაბ. XXXI) აღმოჩნდა 0,88% დარიშხანი, 0,18% ანთიმონი და 0,01% თუთია. მეორე ცულში (№ 11—32:47) (ტაბ. XXXI) 0,24% რკინა და კვალის სახით—ტუცია და თუთია.

შუბისპირი (№ 2—53:2) დამზადებულია მცირე მინარევებიანი სპილენძისაგან. მინარევებიდან შეიცავს 1,08% კალს, 1,83% დარიშხანს, 0,12% ანთიმონსა და 0,7% თუთიას.

საგარეოგან შესწავლილია სამი სატევარი, ერთი შუბისპირი და ერთი ქაჭვი. აქედან სამივე

სატევარი დამზადებულია დარიშხანის სპილენძი-საგან, მაგრამ ორ მთვანში კალაქ აღმოჩნდა, ერთ-ში (№ 8-54:85) 1,13%, ხოლო მეორეში (№ 8-54:27) (ტაბ. XXXII) 5,03%-ის რაოდენო-

ბით. ასე მაგ., ტყეიას შეიცავს 3,18%, რკინა-

ცხრილი 26

ნუთის დასახელება	სურ. №№	საინფრ. №№	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1. სატევარი კახური ტიპისა		2-53:1 მუხ.	ბაქურციხე	91,3	0,76	4,12	არ არის	არ არის	1,92	0,12
2. სატევარი კახური ტიპისა		12-32:39 "	"	95,4	1,07	არ არის	—	—	2,46	არ არის
3. სატევარი კახური ტიპისა	ტაბ. XXXI,	12-32:58 "	"	89,90	5,68	1,8	ყვლი	არ არის	0,76	"
4. სატევარი კახური ტიპისა		12-32:59 "	"	86,30	11,40	1,30	არ არის	—	1,0	"
5. სატევარი კახური ტიპისა	ტაბ XXXI,	12-32:38 "	"	86,00	12,29	არ არის	ყვლი	ყვლი	0,3	0,5
6. მახვილი	ტაბ. XXXI,	12-32:34 "	"	86,01	10,96	—	—	—	0,7	არ არის
7. მახვილი	ტაბ. XXXI,	12-32:33 "	"	85,00	12,16	1,1	არ არის	არ არის	არ არის	"
8. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა	ტაბ. XXXI,	11-32:47 "	"	96,7	3,03	ყვლი	0,24	ყვლი	—	"
9. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა	ტაბ. XXXI,	11-32:45 "	"	94,5	3,37	არ არის	არ არის	0,01	0,88	0,18
10. შუბისპირი		2-53:2 "	"	92,0	1,08	—	—	0,7	1,83	0,12
11. სატევარი		8-54:89 "	საგარეჯო	96,10	არ არის	ყვლი	ყვლი	არ არის	1,84	არ არის
12. სატევარი		8-54:85 "	"	96,2	1,13	არ არის	—	—	2,4	"
13. სატევარი	ტაბ. XXXII,	8-54:27 "	"	91,30	5,03	—	—	—	2,19	"
14. შუბისპირი	ტაბ. XXXIII,	8-54:31 "	"	92,2	არ არის	ყვლი	"	0,83	3,20	"
15. ჯაჭვი (5. ბერძენი-შვილის ნათბარა 1950 წ.)			"	86,15	6,25	3,18	1,09	0,45	1,0	0,5
16. სასაფეთქელ რგოლი (5 ბერძენი-შვილის ნათბარა 1950 წ.)			ქვემო-მადარო	88,04	4,82	0,13	არ არის	2,15	1,20	2,05
17. თავსამკაული			"	88,58	6,07	0,56	0,5	1,1	—	0,8
18. სატევარი		22-30:11 "	ქვემო ანაგა	98,38	არ არის	არ არის	ყვლი	არ არის	ყვლი	0,19
19. მახვილი მოლოცე-თილი		22-30:9 "	"	92,5	7,1	"	"	"	0,25	არ არის
20. შუბისპირი	ტაბ. XXXII,	4-37:2 "	ანაშენი მურ-ჯანის რ-ში	96,6	0,66	"	—	—	0,2	1,54
21. სატევარი	ტაბ. XXXII,	4-37:1 "	ანაშენი მურ-ჯანის რ-ში	96,60	1,2	"	—	—	1,1	0,2
22. "	ტაბ. XXXIII,	2-20:4 "	ქვემო ანაგა	93,00	1,62	"	—	—	2,95	1,82
23. "	ტაბ. XXXIII,	2-20:3 "	ქვემო ანაგა	85,35	11,46	3,92	არ არის	ყვლი	0,49	0,41
24. მახვილი	ტაბ. XXXII,	12-32:21 "	ტაბანი	90,18	0,33	0,58	ყვლი	არ არის	1,99	არ არის
25. სატევარი		12-31:27 "	"	94,4	2,24	არ არის	—	—	2,9	0,2
26. "	ტაბ. XXXII,	12-32:41 "	კოლაქი	96,38	არ არის	—	—	—	2,22	არ არის
27. "		7-47:1 "	სოფ. შილა	95,38	—	ყვლი	—	—	3,3	ყვლი
28. "		12-32:46 "	კარდანში	96,60	0,89	არ არის	—	—	1,48	0,6
29. "		4-38:3 "	სოღნდი	93,50	5,34	"	არ არის	არ არის	0,2	0,36
30. სატევარი კახური ტიპისა	ტაბ. XXXII,	18-52:1 "	ენისფრი	84,0	14,34	ყვლი	ყვლი	"	0,50	1,0
31. მახვილი	ტაბ. XXXII,	12-37:42 "	ნასომარა	84,18	6,53	არ არის	"	"	ყვლი	არ არის
32. "	ტაბ. XXXII,	5-33:1 "	იყალთო	86,62	10,08	ყვლი	"	"	0,4	1,5

ბოთ. აქედან პირველი შეიძლება უნებლოე მინარევი იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში (5,03%) კი კალა უტუოდ შეტანილია.

შუბისპირი № 8-54:31 (ტაბ. XXXIII) დარიშხანის სპილენძისაა (3,20%-As). კალას სრულიად არ შეიცავს. მინარევებიდან აღმოჩნდა 0,83% თუთია და ტყეია კვალის სახით.

1,09%, თუთია 0,45%, დარიშხანს 1%-მდე და ანთიმონს 0,5%. ძირითადი კომპონენტების რაოდენობა, ე. ო. სპილენძისა არის 86,15% და კალისა 6,25%.

ქვემო მადაროს სასაფეთქელ რგოლი და თავსამკაული დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. პირველში კალის რაოდენობა არის 4.82%, მეორე-

ში 8,07%. სასაფუთვე რგოლო, კალის გარდა შეიცავს დარიშხანს 2,15%-მდე, ანთიმონს 2,05%, თუთიას 2,15% და ტყვიას 0,13%.

თავსამკაულრიც მდლდარია მინარეკებით, კერძოდ აქ აღმოჩნდა 1,1% თუთია, 0,56% ტყვია, 0,59% რკინა და 0,8% ანთიმონი.

შველი ანავის ხატევიარი (№ 22—30:11) დამზადებულია სუფთა სპილენძისაგან (მცირემინარეკებანი) 98,38% Cu. მინარეკებიდან შეიცავს მხოლოდ 0,19% ანთიმონს და კვალის სახით რკინასა და დარიშხანს.

ბოლოკვეთილი მახვილი (№ 22—30:9) ამავე ადგილიდან უკვე კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეფები (7,1% Sn). მინარეკებიდან აღმოჩნდა მარტო დარიშხანი 0,25%-ის რაოდენობით.

ხოფ ახაშენში მოპოვებული მონეტისპირი (№ 4—37:2) (ტაბ. XXXII<sub>2</sub>) მცირემინარეკებანი სპილენძისაგან (96,6% Cu) არის დამზადებული. მინარეკებიდან შეიცავს 1,54% ანთიმონს, 0,66% კალს და 0,2% დარიშხანს.

შავავის ქიმიური შედგენილობით ხასიათდება აქვე აღმოჩენილი სატევიარი (№ 4—37:1) (ტაბ. XXXII<sub>1</sub>). სპილენძი აქაც 96,6%-ია, კალა ოდნე მტრია 1,2%, ასევე დარიშხანი, რომელიც აქ 1:1%-ის რაოდენობით აღმოჩნდა. ანთიმონს შეიცავს 0,2%.

კატარქელის სატევიარიდან ერთი (№ 2—30:4) (XXXIII<sub>1</sub>) დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეფები. სპილენძის რაოდენობა ამ სატევიარეში 93%-ია, დარიშხანისა 2,95%. გარდა დარიშხანისა აქ აღმოჩნდა 1,82% ანთიმონი, 1,62% კალა და კვალის სახით რკინა.

მეორე სატევიარი (№ 2—30:3) (ტაბ. XXXIII<sub>2</sub>) კი უკვე კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. სპილენძი აღმოჩნდა 85,35%-ის, ხოლო კალა 11,46%-ის რაოდენობით. გარდა კალისა სატევიარი სხვა მინარეკებსაც შეიცავს, კერძოდ, ტყვიას 3,92%, დარიშხანს 0,49%, ანთიმონს 0,41% და თუთიას კვალის სახით.

ცხიანის მახვილი (№ 12—32:21) (ტაბ. XXXII<sub>1</sub>) დარიშხანიანი სპილენძისაგან არის დამზადებული. სპილენძის რაოდენობა მახვილში 90,18% აღწევს, დარიშხანისა 1,99%. მინარეკებიდან შეიცავს 0,33% კალს, 0,58% ტყვიას და კვალის სახით რკინას. სატევიარი (№ 12—32:27) დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეფები, მგარამ იგი კალსაც შეიცავს 2,24%-ის რაოდენობით. დარიშხანი აქ აღმოჩნდა 2,9%, ხოლო ანთიმონი 0,2%.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენს მიერ შესწავლილია კახეთის მთელ რიგ სოფლებში აღმოჩენილი ცალკეული ნივთები, რომლებიც გვიან ბრინჯაოს ხანის მიეკუთვნება. ამ ნივთთა უმრავლესობა კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაკეფები, ასე, მაგ., სატევიარი № 4—83:3 სილენძიდან (Cu—93,50% და Sn—5,34%), სატევიარი კახური ტიპის № 18—52:1 (ტაბ. XXXII<sub>1</sub>) ენისელიდან (Cu—84%, Sn—14,34%), მახვილი № 12—32:42 (ტაბ. XXXIII<sub>1</sub>) სოფელ ნასომბარიდან (Cu—84,18% და Sn—6,53%) და ბოლოს მახვილი № 5—33:1 (ტაბ. XXXII<sub>2</sub>) სოფ. იყალთოდან (Cu—86,62%, Sn—10,08%).

ამათგან გამოირჩევა ორი სატევიარი, რომლებიც დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეფები. ეს არის სატევიარი № 7—47:1 სოფ. შილდიდან (Cu—95,38%, As—3,3%) და სატევიარი № 12—32:46 კარდანახიდან (Cu—96,60%, As—1,48%), მაგრამ უკანასკნელი გარდა დარიშხანისა, შეიცავს აგრეთვე 0,89% კალს და 0,6% ანთიმონს და სატევიარი № 12—32:41 (ტაბ. XXXII<sub>2</sub>) კოლაკიდან (Cu—96,38% და As—2,22%). ვ. დანილესკის შესაძლებლად მიიჩნია ეს გარემოება ხმარებაში ყოფილი ნივთების ხელმეორედ გადაღობის შედეგად იყოს გამოწვეული. შესაძლებელია ეს მართლაც სწორი იყოს. თუმცა არ არის გამოჩენილი, რომ აქ სპილენძის პოლიმეტალური მდანი იყოს გამოყენებული, რომელიც ერთდროულად მთელ რიგ ლითონებს შეიცავს (Pb, Zn, Fe, Ni, Sb და სხვ.).

უთუოდ საინტერესოა ა. აფაქიძის მიერ შესწავლილი ბაყურისხის სატევიარი და მახვილები, რომლებიც ქიმიური შედგენილობის მხრივ რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა. ეს ნივთები მასიურად შეიცავს ანთიმონს ისეთი დიდი რაოდენობით (0,11%-იდან 6,36%-მდე), რომ ავტორი მას საგანებოდ შერჩეულად მიიჩნევს<sup>1</sup>, აღსანიშნავია, რომ კალიანი ნივთებში ანთიმონის რაოდენობა დაკლებულია და პირიქით, ხოლო ორ შემთხვევაში (სატევიარი № 38:4 და ნამგალი № 38:6) კალა და ანთიმონი

<sup>1</sup> В. В. Данилевский, *დასახლებული ნაშრომი*, გვ. 229.

<sup>2</sup> Требования промышленности к качеству металлов, Вып. 25, Медь. Госгосиздат, 1947, стр. 19.

<sup>3</sup> ა. აფაქიძე, ანტიკონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში, საქ. საბ. მეცნიერების წიგნები, ტ. XIII-ბ, თბილისი, 1944, გვ. 228.

მონი თანაბარი რაოდენობით გვხვდება. (Sn—4,18%, Sb—4,15%, Sn—2,72%, Sb—3,12%)<sup>1</sup>.

ასევე განსხვავდება ჩვენი ნივთებისაგან წინანდალში აღმოჩენილი სატევარი ( $\frac{26}{7273 \text{ მრკ.}}$ ) და შუბის-

პირი ( $\frac{27}{7237 \text{ მრკ.}}$ ), რომლებიც სრულიად არ შეიცავს კალას და სამაგიეროდ შეიცავს ანთიმონს—პირველი 2,5%-ის, ხოლო მეორე 3,05%-ის რაოდენობით. ე. დანილევსკი ფიქრობს, რომ აქ ანთიმონი გამოყენებულია, როგორც კალის შემცველი<sup>2</sup>.

მეორე სატევარი ( $\frac{25}{7237 \text{ მრკ.}}$ ) წინანდალიდან, ჩვენს მიერ შესწავლილი ნივთების მსგავსად, უკვე კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაყვები (3,6% Sn). მინარევებიდან შეიცავს 0,4% ტუციას, დარიშხანს, ანთიმონს, ნიკელს და კვალის სახით ბისმუტსა და ვერცხლს<sup>3</sup>.

ამავე ხანისაა მახვილი ( $\frac{24}{1469 \text{ მრკ.}}$ ) სოფ. ბობბედან, რომელიც ასევე კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. მინარევებიდან შეიცავს 0,8% ტუციას და კვალის სახით თუთიას, დარიშხანს, ანთიმონს, ბისმუტს, ნიკელს, ვერცხლსა და გოგირდს<sup>4</sup>.

გვიან ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის აგრეთვე მახვილი № 12—32 : 26 და რგოლი № 18—32 : 01 სოფ. ნინოწმინდიდან. ორივე ნივთი კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაყვები. კალა აქ დიდი რაოდენობით გვხვდება. მახვილი მას შეიცავს 12,28% ის, ხოლო რგოლი 11,61%-ის რაოდენობით. გარდა კალისა აქ შედის აგრეთვე ანთიმონი, მახვილში 3,41% და რგოლში 1,60%<sup>5</sup>. ასეთი შედგენილობის ბრინჯაო ჩვენს მიერ შესწავლილ ნივთებშია ცხველებმა (მახვილი № 5—33 : 1 ოყალთოდან, კალა—10,08%<sup>6</sup>, ანთიმონი 1,5%<sup>6</sup>).

კახეთიდან არის (სოფ. საცხენისი, მარტყოფის თემი) აგრეთვე ბოლოკვეთილი მახვილი № 21—26:3. ეს მახვილიც კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაყვები; სპილენძს შეიცავს 84, 86%-ის რაოდენობით, კალას 8,53%-ს, მინარევებიდან 0,46% რკინას და კვალის სახით თუთიას<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ა. აფაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 231.

<sup>2</sup> В. В. Давидовский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 229.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ა. აფაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228.

<sup>6</sup> В. А. Купчина, Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 21.

ამრიგად, როგორც ჩანს, გვიან ბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის ტერიტორიაზე ლითონის ნივთების დასამზადებლად უპირატესად კალიანი ბრინჯაო უმჯობესად (ბაქურციხე, სავარეჯო, ქვემო-მალარო, ძველი ანავა, პატარძეული, ტიბანი, ბობბე, ნინოწმინდა, წინანდალი და სხვ.), უფრო ნაკლებად გამოყენებულია დარიშხანის სპილენძი (ბაქურციხე, სავარეჯო, პატარძეული, ტიბანი, შილა და სხვ.), ხოლო იშვიათად—მცირე მინარევებიანი სპილენძი (ძველი ანავა, ახაშენი).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დარიშხანი ამ ნივთებში თითქმის ყოველთვის არის (კვადრიდან 3,3%-მდე), ასევე ანთიმონიც (კვადრიდან 2,05%-მდე). რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქაც ისევე, როგორც ამას ადვილი ჰქონდა დასავლურ-ქართულ კულტურაში, ძირითადად დარიშხანისი და ანთიმონისი მინერალების შემცველი სპილენძის მადანია გამოყენებული. კალის შემცველობის შემთხვევაში, როგორც ეს საერთოდ იყო შენიშნული, აქაც დარიშხანის რაოდენობა მცირდება და პირიქით, როცა კალა არ არის;—დარიშხანის რაოდენობა იზრდება. არის შემთხვევები, როდესაც დარიშხანი და კალა თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ამასთან ერთად კახეთში გვხვდება ისეთი ნივთები, რომელთა შედგენილებაში შეშავალ ანთიმონს ა. აფაქიძე და ე. დანილევსკი ხელოვნურ დანამატად მიიჩნევენ<sup>8</sup>.

აღმოსავლურ-ქართულ კულტურას მიეკუთვნება აგრეთვე სოფ. ღარში (რაჭა) მოპოვებული აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულო, ე. წ. ჩუგლუბი<sup>9</sup>. ცული შეიცავს 96,69% სპილენძს, 0,25% კალას, 1,10% ტუციას, 0,87% დარიშხანს და კვალის სახით ანთიმონს. რკინა და თუთია არ არის განსაზღვრული.

ამეთი შედგენილობის ლითონისაგან, სპილენძის დიდი სიბლანტის გამო, ნივთის ჩამოსხმით დამზადება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაში კალა საკმაო რაოდენობით არ იყო და ამიტომაც უკალოდ ჩამოყვსამთ. ამავე დროს ძველი მეტალურგებისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი ყოფილა, რომ ასეთ შემთხვევაში ყალიბი ძალიან გახურებული უნდა ყოფილიყო.

<sup>7</sup> ა. აფაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228.

<sup>8</sup> В. В. Давидовский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 229.

<sup>9</sup> ფ. თაყაი, თ. საჯარელოძე, ძველი ქართული ბრინჯაოს ცულების მამოსება და დამუშავება, საქ. სსრ ზეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 1956, გვ. 334.

მსგავსი შედეგნობით ხასიათდება სოფ. ბეჟა-  
თუბანში აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ტი-  
პის ცული № 27—29:21. ცული შეიცავს 97,05%  
სპილენძს. 0,38% კალს, 0,59% ტყვიას და 0,80%  
რკინას.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ასეთი შედეგნობის ნი-  
ვები წარედ აღმოსავლეთ-საქართველოსათვის  
არის დამახასიათებელი. დასავლურ-ქართული ცულ-  
ტურსათვის იგი უცხოა.

გარდა ამისა, შესწავლია აგრეთვე მთელი რი-  
გი ნივთები აღმოსავლურ-ქართული ცულტურისა.  
რომელთა აღმოჩენის ადგილი უცნობია. აღმოსა-  
ვლურ-ქართული ტიპის ცულები, მახებლები და კა-  
ხური ტიპის სატევრები (იხ. ცხრილი 27).

აღნიშნული ნივთებიდან ცული № 1—36:3  
ნორმინარევიანი სპილენძისაგან არის დამზა-  
დებული. შეიცავს 0,82% კალს, 0,66% ტყვიას და  
კვალის სახით რკინასა და თუთიას.

ცული № 97—11:15 კალიანი ბრინჯაოსაგან არის  
ნაყეთები. კალს შეიცავს 4,82%-ის რაოდენობით.  
გარდა კალია, მინარევეებიდან აქ 0,41% თუთია და  
0,04% ანთომონია.

ამ ორი ცულისაგან თავისი ქიმიური შედეგნო-  
ბით გამოირჩევა ცული № 1—36:32, რომელ-  
იც შეიცავს 1,08% კალს, 2,11% ტყვიას, კვა-  
ლის სახით რკინას, ანთომონს და ძალიან დიდი  
რაოდენობით (23,03%) თუთიას.

მსგავსი შედეგნობით ხასიათდება კიდევ ერო-  
ლო ცული № 1—36:31, რომელიც 3,78% კალისა და  
3,11% ტყვიის გარდა, შეიცავს 13,38% თუთიას.  
როგორც ვხედავთ, უკანასკნელი ორი ცული მე-  
ტად მდიდარია მინარევეებით, რომელთაც იგი ენი-  
შნვნილოვანი რაოდენობით შეიცავს, განსაკუთრე-  
ბით კი თუთიას. თუთია აღნიშნულ ცულებში ან  
თუთიით მდიდარი პოლიმეტალური მადნიდან არის  
გაღებული ან საგანგებოდ არის შეტანილი. საჯარა-  
ულა უფრო უკანასკნელი. ჩვენში კი მრავლად  
მოიპოვება თუთიისა და ტყვიის მადნები სპილენ-  
ძის მადნებთან ერთად. განსაკუთრებით ბევრია  
ასეთი სახის მადანი აღმოსავლეთ საქართველოში  
ბორჩალოს რაიონში ( $\text{CuFeS}_2 - 33\%$ ,  $\text{PbS} - 21\%$ ,  
 $\text{ZnS} - 34\%$ )<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. უფროსი ბეჟათუბანის ვანდი, საქართველოს სა-  
ხელმწიფო მუზეუმის მუშაობა, ტ. XVI-B, 1980, გვ. 218.

<sup>2</sup> Б. А. Купцов, დასავლური ნაშრომი, გვ. 2:0.

<sup>3</sup> Минеральные ресурсы ССР Грузии, Тифлис, 1933,  
с.р. 551.

რაც შეეხება მახებლებს №№ 12—38:8 და  
1—36:46 ისინი კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაყე-  
თები და მათი ქიმიური შედეგნობა ერთმანეთის  
მსგავსია. სპილენძის რაოდენობა მახებლებში მერ-  
ყეობს 87,84%-დან 88,45% -ის ფარგლებში, კალი-  
სა—10,40—11,62%. სხვა მინარევეებიდან აღმოჩნ-  
და მცირე რაოდენობით (0,1—0,3%) დარიშხანი.

დარიშხანიანი სპილენძისაგან არის დამზადე-  
ბული კახური ტიპის სატევარი №12—32:15. სპი-  
ლენძს შეიცავს 94,76%, დარიშხანს 2,3% და კვა-  
ლის სახით რკინასა და თუთიას.

კალიანი ბრინჯაოსაგან არის ნაყეთები სატევა-  
რი №12—32:63 პირი, რომელიც 2%-მდე კალს  
შეიცავს. სატევრის ტარში კი კალა მხოლოდ  
0,36%-ის რაოდენობით აღმოჩნდა. ტარის შედეგ-  
ნობაში დადგენილია აგრეთვე 0,59% ანთომონი  
და კვალის სახით ტყვია. როგორც ჩანს, სატევრის  
პირის სისაღისა და ფხამახვილობის მისაცემად კალა  
მიუმატეს, ტარს კი არა. აქ, ჩანს, კალს მხოლოდ  
საჭიროების შემთხვევაში იყენებენ.

\* \* \*

აღმოსავლურ-ქართული ცულტურის ძეგლების შეს-  
წავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ გვიან  
ბრინჯაოს ხანაში ქართლში, სამთავროში, მესხეთსა  
და კახეთში უპირატესად კალიანი ბრინჯაო გამო-  
უყვენებთ; უფრო ნაკლებად დარიშხანიანი სპი-  
ლენძი, ხოლო ზოგჯერ მცირემინარევეებიანი სპი-  
ლენძიც უხმარათ. ამასთანავე აქ შეინიშნება ტყვი-  
ის, თუთიისა და რკინის თანაპოვნიერება, რაც მად-  
ნის თავისებურებას უნდა მიეწეროს.

თბილისის მიდამოებსა და თრიალეთში ჩვენ  
ხედავთ მხოლოდ კალიანი ბრინჯაოსა და დარიშ-  
ხანიანი სპილენძის გამოყენებას.

ზემოაღნიშნული რაიონებიდან გამოირჩევა ში-  
და ქართლის ჩრდილო ზოლი (თანამედროვე სამ-  
ხრეთ-ოსეთის ტერიტორია), სადაც ჩანს მეტალურ-  
გიის დაწინაურება. აქ სხვა რაიონებთან შედა-  
რებით მინარევეებისაგან სუფთა შენადლობა გამო-  
უდნიათ. შესაძლოა, რომ აქ სხვაზე მეტად იყო  
ხელმისაწვდომი კალა და ამიტომაც დარიშხანიანი  
სპილენძი სპეციალური დანამატის გარეშე იშვია-  
თად ყოფილა გამოყენებული.

\* \* \*

რა თქმა უნდა უთუოდ საინტერესოა აგრეთვე  
ამ თემატარისათვის აღმოსავლურ-ქართული ცულ-

ტურის თანადროული მომიჯნავე კულტურების შესწავლა.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ნაწილი ლალიანის კოლექ-

ცია, ეს ნივთები ძირითადად კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. კალის რაოდენობა ამ ნივთებში 6,55%-დან 10,10%-მდე აღწევს. მეტად საყურადღებოა ამ ნივთებში რკინის მაღალი შემცველობა (1,94%; 2,19%; 3,23%; 4,07%), რაც

ცხრილი 27

ნივთის დასახელება	სურ. №№	საინვენტ. №№	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა		1-36:33 მუხ.	აღმოჩენის ადგილი უცნ.	97,11	0,82	0,66	კვადი	კვადი	—	არ არის
2. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა		1-36:32 "		72,1	1,08	2,11	"	23,63	—	კვადი
3. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა		1-36:31 "		79,15	3,78	3,11	არ არის	13,38	—	არ არის
4. ცული აღმოსავლურ-ქართული ტიპისა		97-11-15 "		93,15	4,82	არ არის	"	0,41	—	0,04
5. მახვალი	ტაბ. XXXII,	12-32: 8 "		88,45	10,40	არ არის	"	არ არის	0,10	არ არის
6. "		1-36: 46 "		87,84	11,62	"	კვადი	"	0,3	"
7. სატევარი კახური ტიპისა		12-32: 15 "		94,76	არ არის	"	"	კვადი	2,3	"
8. " (ტარის ანალოგი)		12-32: 63 "		98,59	0,36	კვადი	არ არის	არ არის	—	0,59
9. " (პირის ანალოგი)		12-32: 63 "		97,54	1,9	არ არის	"	"	—	არ არის

ციისა, რომელიც წარმოდგენილია სომხეთის სტრას-ში სევანის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ტანის ნივთები, რომელთაგანაც ჩვენს მიერ შესწავლილია სამი სატევარი, ერთი აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული და საკინძი (იხ. ცხრილი 28).

როგორც გაიჩვენა, სატევარი №20—05:111—2 დამზადებულია ძირითადად სპილენძისაგან, რომელსაც ბუნებრივი მინარევის სახით აქვს მხოლოდ 0,41% თუთია. დანარჩენი ორი სატევარი № 20—05:V-4 და № 50—06:34-134 კი დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. ორივე სატევარი კალს თითქმის თანაბარი რაოდენობით შეიცავს (10% და 10,63%/), ასევე თლიას (0,57% და 0,62%) და კვალის სახით ტყვიას. დარიშხანი განსაზღვრული არ არის. ჩანს, ეს სატევრები ერთი და იგივე კაზმებიდანაა დამზადებული.

ასევე კალიანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული საკინძი № 20—05:11 და აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული № 20—05:VIIII—1. საკინძი შეიცავს 91,29% სპილენძს, 4,84% კალს, 1,48% რკინას, 1,98% თუთიას და კვალის სახით ტყვიას.

აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულში აღმოჩენილია 87,23% სპილენძი, 9,57% კალა, 0,14% დარიშხანი და კვალის სახით რკინა.

სხვა ნივთების ქიმიური შედგენილობა სევანის ტბის მიდამოებიდან (ლალიანის გათხრები 1906 წ.) განსაზღვრული აქვს სკინდერს<sup>1</sup>. როგორც გა-

ნაწილობრივ ექვსაც ბადებს; სახელდობრ, ცნობილია, რომ სპილენძის მადანში არსებული რკინა დანობის პროცესში წილში გადადის (უმეტესი ნაწილი)<sup>2</sup>. სწორედ ამიტომაცაა, რომ ბრინჯაოს ნივთებში რკინას ან სულ არ ეხვდებათ, ან ძლიერ მცირე რაოდენობით.

დანარჩენი ელემენტებიდან წარმოდგენილია გოგირდი 0,02%—0,14%-ის რაოდენობით და ანთიმონი კვადიდან—1,27%-მდე.

ვ. დანილევსკის თავის ნაშრომში<sup>3</sup> მოყვანილი აქვს ეორნაკში აღმოჩენილი ნივთების (საკიდი, საყურე, სამაჯური, ჩუგლუგი, ლაბტისთავი, მახვილი) ქიმიური შედგენილობა (ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის გათხრები). სამწუხაროდ, ორი

ნივთის — საკიდისა  $\left(\frac{20}{16850 \text{ მრმ.}}\right)$  და საყურეს

$\left(\frac{21}{16844 \text{ მრმ.}}\right)$  მხოლოდ სპექტრული ანალიზია

მოცემული, ამიტომ აღმოჩენილი ელემენტების — სპილენძის, ტყვიისა და კალს რაოდენობაზე მსჯელობა არ შეეძლოა. დანარჩენი ნივთები: სამაჯური

$\left(\frac{19}{16790 \text{ მრმ.}}\right)$  დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu—93,45%, Sn—4,28%), რომელიც შე-

<sup>1</sup> A. A. Hensel, დასახლებული ნაშრომი, გვ. 224.

<sup>2</sup> H. Otto, W. Witter, დასახლებული ნაშრომი, გვ. 43.

<sup>3</sup> B. B. Данилевский, დასახლებული ნაშრომი, გვ. 249.

ცავს აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით ტყვიას (1,72%) და კვალის სახით დარიშხანს, ანთიმონს, ბისმუტსა და ვერცხლს. ჩუგლუგი

$\left(\frac{17}{16750 \text{ ვგრ.}}\right)$  თავისი შედგენილობით ჰგავს სა-

ზაჯურს და შეიცავს 90,18% სპილენძს, 5,82% კალს, 0,67% ტყვიასა და 0,84% დარიშხანს. ხოლო ანთიმონს, ბისმუტს, ნიკელსა და რკინას კვა-

ლის სახით. დაბტისთავი  $\left(\frac{18}{16769 \text{ ვგრ.}}\right)$  შეიცავს

89,2% სპილენძს, 9,05% კალს, 0,48% ტყვიას და კვალის სახით — თუთიას, დარიშხანს, ანთიმონს და ვერცხლს კვალის სახით.

რაგორც ჩანს, ყველა ეს ნივთი დამზადებულია პოლიმეტალური სპილენძის მადნიდან, ხოლო დანამატად კალა გამოყენებული. ბუნებრივი მინარევებიდან განსაკუთრებით ხშირა ტყვია და მნიშვნელოვანი რაოდენობით დარიშხანი.

ამავე ხანას მიეკუთვნება ლენინაკანში აღმოჩენილი ნივთები: ისროს პირი, მახვილი და სატევეარი, რომელიც ანალიტიკოს ი. არქიპოვის მიხედვით სუფთა სპილენძისაგანაა დამზადებული. „რუსკაია არმენიადან“ (მორგანის კოლექცია) ანალიტიკოს ბერტელას მიერ განსაზღვრულია კონუსური „ლილს“, საკიღისა და სამაჭურის ქიმიური შედგენილობა. სამაჭური და ღილი კალიანი ბრინჯაოსა (პირველი 5,35% კალს შეიცავს და მეორე — 17,4%-ს). რაც შეეხება საკიღს, იგი ტყვიისა და კალს შენადნობისაგანაა დამზადებული. „რედკინ ლაგერიში“ აღმოჩენილი ნივთებიდან ერთი კალიანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული, ხოლო სამი პატარა ნივთი თითქმის სუფთა ანთიმონისაგან, რომელიც მცირე რაოდენობით ბისმუტს შეიცავს.

ამრიგად, სომხეთის სსრ ტერიტორიაზე ნაპოვნი ლითონის ნივთების დანამზადებლად გვიან ბრინჯაოს ხანაში, ჩანს, უპირატესად კალიანი ბრინჯაო უხმართათ (სევანის ტბის მიდამოები, ვორნაიკი, „რუსკაია არმენია“ და „რედკინ ლაგერი“).

სევანის ტბის მიდამოებში კალიან ბრინჯაოსთან

ერთად იშვიათად მცირე მინარევებიანი სპილენძიც გამოუყენებიათ. აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებისაგან განსხვავებით აქ დარიშხანი და ანთიმონი თითქმის სრულიად არ გვხვდება. სამაგიეროდ წარმოდგენილია რკინა.

სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა ლენინაკანი, სადაც ჩვენ ვხვდებით მხოლოდ სუფთა სპილენძის გამოყენებას.

ასევე განსხვავდება სომხეთის სხვა მასალებისაგან ვორნაიკის ნივთები. აქაც კალიანი ბრინჯაო გამოყენებული და ჩვენს მიერ აღმოსავლეთ საქართველოდან შესწავლილი ნივთების მსგავსად შეინიშნება ტყვიისა და დარიშხანის თანაპოვნირება (ასე, მაგ., ათენის აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული, სამთავროს საყინბი № 6057 და შუბისპირი № 5762, ბაქრციხის სატევეარი №12—32:58, აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული № 11—32:41, და სატეხი i:—32:61 კავთისხევიდან და სხვ.). ვორნაიკის მასალა ყველზე მეტ მსგავსებას იჩენს აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებთან. ამიტომ ჩვენ დამაშვებად მივიგაჩნია, რომ ვორნაიკის ნივთები და მისი მსგავსი აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლები ერთი საწარმოო ცენტრიდან იყოს გამოსული ან ერთი მადნიდან იყოს დამზადებული.

ჩვენს მიერ შესწავლილია აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები: ორი მახვილი ქელაბეკური ტიპისა (№ 31—16:1 ქელაბეკიდან და № 51—05:4 ლორთიდან), ერთი მახვილი კოშკოტანიდან (№ 28—15:1), ორი სატევეარი და ერთი მასრაგახსნილი შუბისპირი კუშირი (№ 35—26:65 ა, № 35—26:66 და № 35—26:67) (იხ. ცხრილი 29).

მახვილი ქელაბეკიდან დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. შეიცავს 88,1% სპილენძს, 9,20% კალს და კვალის სახით თუთიასა და ტყვიას.

ქელაბეკური ტიპის მახვილს ლორთიდან გაუკეთდა როგორც ტარის, ისე პირის ქიმიური ანალიზი. გარკეა, რომ ორივე ერთი მასალიდან არის დამზადებული. ლორთის მახვილი თავისი ქიმიური შედგენილობით ძლიერ წააგავს ქელაბეკის მახვილს იმ განსხვავებით, რომ რამდენადმე მეტ კალს შეიცავს (11,62%). მინარევებიდან მხოლოდ თუთია აღმოჩნდა.

რაც შეეხება მესამე მახვილს კოშკოტანიდან, ისიც ძირითადად ისეთივე შედგენილობისაა, რო-

<sup>1</sup> A. A. Носов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 224.

<sup>2</sup> იქვე.

გორკ წინა ორი მახვილი, იმ განსხვავებით, რომ აქ კალა ნაკლები რაოდენობით გვხვდება (4,70% Sn). ამრიგად, სამივე მახვილი კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. მინარევებიდან შეიცავს მხოლოდ თუთიას.

კუშჩის ნივთები—ორი სატევარი (№ 35—26:65 და № 35—26:66) და ერთი შუბისპირი (№ 35

უზოლ-ვანქის სატევრისა და სამაჭურის ქიმიური შედგენილობა მოცემული აქვს ა. იესენს<sup>1</sup>.

სამწუხაროდ ეს შედეგები მიახლოებითაა და ამიტომ დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. სატევარი შეიცავს დაახლოებით 97% სპილენძს, სამაჭარი 90—95% სპილენძს და 5-დან 10%-მდე კალას.

ცხრილი 28

ნივთის დასახელება	საინტენ- ტი №№	აღმოჩენის აღწერილობა	გათხრის სტრუქტურა- ხელი	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1. სატევარი	20-05: III-2 შუბ.	სუფიანის ტიპის შიდა.	ლალიანი	98,00	არ არის	არ არის	არ არის	0,41	არ არის	არ არის
2. "	20-05: V-4 "	"		87,71	10,63	ყვითელი	"	0,57	—	ყვითელი
3. "	50-06: 34-134 "	"		89,3	10,00	"	"	0,62	—	"
4. საინტი	20-05: I11	"		91,2	4,84	"	1,48	1,98	—	არ არის
5. ცუელი აღმ. ქართ. ტიპისა	20-05: VIII-1 "	"		87,23	9,57	არ არის	ყვითელი	0,41	არ არის	"

26:67) დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. სატევრებში კალის რაოდენობა მეტია (9,13% და 8,23%), ვიდრე შუბისპირში (2,91%).

სპილენძის რაოდენობა სამივე ნივთში თითქმის ერთნაირია (89,76—90,1%). მინარევებიდან საყურადღებოა ღარიშხანი, რომლის რაოდენობა პირველ სატევარში 0,29%-ს უდრის, მეორეში 1,33%-ს, ხოლო შუბისპირში—3,18%-ს. ამ უკანასკნელში, სატევრებისაგან განსხვავებით, შეინიშნება აგრეთვე ანთომონი 0,36%-ის რაოდენობით.

სამივე ნივთი კუშჩიდან ჩანს, დამზადებულია ღარიშხანიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადნიდან და შემდეგ დამატებული აქვს კალა. რაც ნივთებმა რკინას, ანთომონს და თუთიას. რომლებში უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი ამ ნივთებში. მდნის ბუნებრივი მინარევი უნდა იყოს.

სკინდრის მიერ ძველი განჯის გათხრებში აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთების ქიმიური შედგენილობა მის მიერვეა შესწავლილი (სამი სამაჭური და „შპილკა“). სამაჭურები დამზადებულია როგორც უკალი, ისე კალით ღარიბი სპილენძისაგან და კალით უხვი ბრინჯაოსაგან. ერთ-ერთ სამაჭურში კალა სრულიად არ არის, სამაგიეროდ შეიცავს 2% ტუციას და 1,74% თუთიას. მეორე სამაჭური შეიცავს 92,6% სპილენძს; მინარევებიდან მხოლოდ 0,24% კალას და 0,15% გოგირდს, ხოლო მესამე სამაჭური 90,39% სპილენძს, 4,94% კალას, 4,9% რკინას და 0,44% გოგირდს. „შპილკა“ დიდი რაოდენობით შეიცავს კალას (10,29%) და ტუციას (3,85%). სხვა მინარევებს არ ეხებებოთ.

აზერბაიჯანში—არჩადზორში აღმოჩენილი სატევრის ტარის, აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულისა და სამაჭურის ქიმიური შედგენილობა მოტანილი აქვს ე. დანილევსკის<sup>2</sup>. ეს ნივთები დამზადებულია როგორც უკალი სპილენძისაგან, ისე კალით უხვი ბრინჯაოსაგან. ორივე შემთხვევაში ლითონი მდიდარია მინარევებით. ჩანს, ეს ნივთები პოლიმეტალური მადნიდან უნდა იყოს გამოდნობილი. არჩადზორის ნივთები თავისი ქიმიური შედგენილობით ძლიერ განსხვავდება ლორუთის, კოშკოტანისა და ქედანების ნივთებისაგან.

ამრიგად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ნივთების შესწავლიდან ჩანს, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში აქ კალიანი ბრინჯაო ყოფილა გამოყენებული (ქედანები, კოშკოტანი, ლორუთი, კუშჩი, ძველი განჯა, უზოლ-ვანქი, არჩადზორი და მინგეჩაური).

ქედანების, კოშკოტანისა და ლორუთის კალიანი ბრინჯაოში. აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებისაგან განსხვავებით, შეინიშნება თეთობა. ღარიშხანი კი სრულიად არ გვხვდება.

ძველ განჯაში ვხვდებით როგორც უკალი სპილენძის, ისე მცირემინარევებიანი სპილენძისა და კალიანი ბრინჯაოს გამოყენებას. ასევე არჩადზორში კალიანი ბრინჯაოსთან ერთად მცირემინარევიანი სპილენძი უხმარიათ.

მინგეჩაურის კალიანი ბრინჯაო უკრადლებას იქცევს მინარევების სიმრავლით.

<sup>1</sup> A. A. Иесен, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 226.

<sup>2</sup> B. B. Данилевский, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 249.



კუშჩის ნივთები ძლიერ წააგავს აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებს. აქაც ჩანს, დარიშხანაანი სპილენძის მადანია გამოყენებულ, რომელსაც შემდეგ კალა დაუმატეს.

აღმოსავლურ-ქართული კულტურის მასალის განხილვიდან ჩანს, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები ძირითადად კალიანი ბრინჯაოსაგან არის დამ-

თველოს ნივთებში 10% და მეტი კალის შემცველობის შემთხვევაში დარიშხანის რაოდენობა 1,2%-ს, ხოლო ანთიმონის 1,7%-ს არ აღემატება. აღმოსავლეთ საქართველოს ნივთებში კი კალის იმავე რაოდენობის დროს დარიშხანის რაოდენობა ზოგჯერ 2,34%-ს აღემატება, ხოლო ანთიმონისა—2%-ს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნ ნივთებში ტყვიის არსებობა უმთავრესად კალიან ნივ-

ცხრილი 29

ნივთის დასახელება	სურ. №№	საინვენტ. №№	აღმოჩენის ადგილი	ქიმიკალი							
				Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb	
1. მახილი		28-15:1	მუხ.	93,41	4,70	არ არის	არ არის	ყვლი	არ არის	არ არის	
2. ნახილი ქუაბეჯური ტიპისა		31-16:1	"	88,2	9,20	ყვლი	"	"	"	"	
3. " " " (პირის ანალიზი)		51-15:4	"	86,21	11,62	არ არის	"	"	"	"	
4. მახილი ქუაბეჯური ტიპისა (ტარის ანალიზი)		51-05:4	"	86,21	11,59	"	"	"	"	"	
5. ზუსისპირი მასრაგაზნალი		35-26:67	"	90,00	2,91	"	"	არ არის	3,18	0,36	
6. სატყვარი		35-26:66	"	90,1	8,23	"	0,2	"	1,33	არ არის	
7. "		35-26:66a	"	89,76	9,13	"	არ არის	ყვლი	0,29	"	

ზადებელი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ნივთში კალა მეტივე რაოდენობითაა, ვფიქრობთ იგი მაინც შეტანილი უნდა იყოს (1%-ზე მეტი). დარიშხანისა და ანთიმონის შემცველობა ამ ნივთებში მაღლის თავისებურებითა და გამოდნობის ტექნოლოგიური პროცესით აიხსნება.

კალის რაოდენობის მერყეობა ბრინჯაოს ნივთებში ეგებ ერთის მხრივ გამოწვეული იყო იმითაც, რომ კალა ყოველთვის საკმაო რაოდენობით არ იყო. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კალის რაოდენობის ასეთი მერყეობა შესაძლებელია იმითაც აიხსნას, რომ ნაწმარი კალიანი და უკალო ნივთების ხელშეწყობა გამოდნობისას კალის რაოდენობა ბრინჯაოში კლებულობს<sup>1</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალების შესწავლის შედეგების დასავლეთ საქართველოს იმპერიულ მასალათან შედარების შედეგად თითქოს ისე ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სპილენძის მეტალურგია (მადნების გასუფთავება, კაზმის შეღდება და ლითონის გამოდნობა) რამდენადმე უფრო დაბალ საფეხურზე იდგა. ამის ერთ-ერთ მაგალითს ისიც წარმოადგენს, რომ დარიშხანი და ანთიმონი მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ხოლო კალის უხვ ნივთებში, რასაც დასავლურ-ქართული კულტურაში თითქოს ნაკლებად ვხვდებით. ასე. შავ. დასავლეთ საქარ-

თებში შეინიშნება. ამავე დროს ჩანს, რომ ტყვიისა და კალის პროცენტული რაოდენობის ჯამი საშუალოდ თითქოს აის უახლოვდება. აღნიშნული ფაქტი უმეტესად შეიძინევა იქ, სადაც კალის ნაკლებობაა შენიშნული და, ჩანს, მას, როგორც ძველად საშოვნ ლითონს, ზოგავენ და ტყვიით ასეუბენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ავსეთ შენადნობის თვისებები. ცნობილია, რომ კალიანი ბრინჯაოს მექანიკური თვისებები ტყვიის გავლენით შესამჩნევად ეცემა, მაგრამ ამავე დროს მკვეთრად იზრდება შენადნობის ჰრით დამუშავების უნარი და სიმკვრივე. სპილენძ-ტყვიის შენადნობის დნობის ტემპერატურა 250° ტყვიის შემცველობის დროს დაბლა იწევს, მაგრამ ამავე დროს უარესდება მისი საჩამოსხმო თვისებები<sup>2</sup>.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კალის გამოყენებასთან ერთად კალისშემცველ ნივთებში, თუმცა შეინიშნება დარიშხანის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, მაგრამ მაინც მისი არსებობა თითქმის ყოველთვის დასტურდება. ეს კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ნედლეულად ისევ, ჩანს, დარიშხანაანი სპილენძის მადანს იყენებდნენ, მაგრამ უკვე საფიქრებელია, ცდილობდნენ დარიშხანის მოცილებას. როგორ აღწევდნენ ამას, ახლა გარკვევით თქმა ძნელია.

<sup>1</sup> В. В. Давыдовым; დასახელებული ნაშრომი, გვ. 229.

<sup>2</sup> А. Н. Шлагин и Г. М. Калхотратова, Специальные бронзы в латуны, Москва, 1945, стр. 77.

სპილენძის ძველი წარმოების ნივთების (ღუმელი, წიდა, მადანი და სხვ.) შეუსწავლლობის გამო შეტადკირის სპილენძის მადნის გამოღობის მაშინდელი ტექნოლოგიური პროცესის აღდგენა, მაგრამ არქეოლოგიური ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლისა და თანამედროვე ტექნოლოგიის მოშველიებით მაინც ერთგვარად შესაძლებელი ხდება მადნის გამოღობისას ღუმელში მიმდინარე პროცესების მეტნაკლებად აღდგენა.

თავდაპირველად სპილენძის მადანს ალბათ (ე.წ. ეულო ან გოგირდოვანი მადანი) პირდაპირ ღია ქურქულში ადნობდნენ (პაერის თანდასწრებით). ამ დროს მადნის შედგენილობაში შემავალი დარიშხანისა და ანთიმონის თითქმის უმეტესი ნაწილი ლითონში, ხოლო უმცირესი კი წიდაში—გადადიოდა<sup>1</sup>. გამოღობილი ლითონი (რომელიც დარიშხანს შეიცავდა), სუფთა სპილენძთან შედარებით უფრო სწრაფად და კარგი საამოსხმო თვისებებით ხასიათდებოდა.

მეტალურგიის შემდგომმა განვითარებამ კაცობრიობა კალის გამოყენებაზე მოიყვანა. ამასთანავე აღმოჩენილ მადნებთან ერთად მოხდა გოგირდოვანი მადნების წარმოებაზე გადასვლა საფორებელია, ამ პერიოდში უკვე ერთგვარ გაუქმობებს განიცდიდა სადნობი აპარატურაც. შესაძლოა, დნობას სპეციალურ ქურქულში აწარმოებდნენ; ეგებ ამ მიზნით იყენებდნენ კერამიკულ ტიგლს, რომელსაც ტუმბურტურის აწევისა და დნობის პროცესის დასაჩქარებლად სახურავს ახურავდნენ, ე. წ. ღია დნობის ნაკვალად უკვე დახურულ დნობას იწყებენ. ამ დროს დნობა „უპაეროდ“ მიმდინარეობდა. ღუმელში (თუ შეიძლება ასე ეუწოდოთ) დახურული დნობის დროს წარმოებდა მთელი რიგი ქიმიური გარდაქმნები—ტუმბურტურის გაქვინით დარიშხანი და ანთიმონი გოგირდს უერთდებოდა (გოგირდოვანი მადნის გამოყენების შემთხვევაში) და მიიღებოდა დარიშხანისა და ანთიმონის გოგირდოვანი შენაერთები ( $As_2S_3$  და  $Sb_2S_3$ ). აღნიშნული შენაერთები 700°-ის ზემოთ, როგორც აქროლადები, ბოლის სახით გამოიყოფოდნენ და შორდებოდა ლითონს, ე. წ. ღია დნობისაგან განსხვავებით, დახურულ დნობის შემთხვევაში, როდესაც პაერის მიწოდება არ ხდებოდა, ჩანს. დარიშხანისა და ანთი-

მონის უმეტესი ნაწილი იკარგებოდა, ხოლო მცირე ნაწილი კი ლითონში გადადიოდა (ამას ჩვენ ანალოგიურად ადასტურებს).

3. ოტო და ე. ვიტერის<sup>2</sup> აზრით, დარიშხანისა და ანთიმონის მოცილების შემოქმედებას ლითონის კედლებზე გამოცლით აწარმოებდნენ. ამისათვის ღუმელიდან ამოღებულ ლითონის ნიმუშს კვდავდნენ. თუ ლითონი კარგად არ იქედებოდა, მაშინ დნობას განაგრძობდნენ იქამდე, ვიდრე არ მიიღებოდა კარგად კვდადი ლითონი, ე. წ. დარიშხანისა და ანთიმონისაგან თავისუფალი ლითონი — რბილი სპილენძი, შემდეგ ხდებოდა კალის დამატება.

მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად კალიან ნივთებში მაინც ვხვდებოდა დარიშხანი. საფორებელია, რომ ასეთ შემთხვევაში დარღვეული უნდა ყოფილიყო დნობის რეჟიმი და ეგებ გამოყენებულ იყო ღია დნობის პროცესი.

ზოგიერთ მეტალურგის დასაშვებად მიაჩნია სპილენძის ეანგული მადნიდან დარიშხანისა და ანთიმონის მოცილება დნობის დროს, აგრეთვე გოგირდოვანი მადნის დამატებით<sup>3</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დნობის ამგვარი პროცესი ღუმელთან მომუშავეთათვის არ ქმნიდა საფრთხეს, ვინაიდან დარიშხანის გოგირდოვანი შენაერთი უკვე მოშვალაი ნივთიერება აღარ იყო.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლის შედეგად ირკვევა. რომ ლითონის ნივთების დასამზადებლად ჩვენში თავდაპირველად, ენეოლითურ ხანაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო თეთნაბადი სპილენძი, რომელიც ზოგჯერ ამა თუ იმ რაოდენობით შეიცავდა სხვადასხვა მანარეებს; ამთაგან უველაზე მნიშვნელოვანი რაოდენობით — დარიშხანს.

მეტალურგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე უკვე ვხვდებით დარიშხანისა და ზოგჯერ ანთიმონის შემცველ ლითონის ნივთებს. საფორებელია, რომ ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ნივთები, დამზადებულია დარიშხანიანი და ზოგჯერ ანთიმონიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადნიდან (ეანგული და შესაძლებელია გოგირდოვანი მადანი).

განვითარების შემდგომ საფეხურზე, შუა ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე აქამდე

<sup>1</sup> H. Otto, W. Witter, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.  
<sup>2</sup> Ю. В. Карякин, Чистые химические вещества Годхимиздат, Москва-Ленинград, 1947, стр. 347, 56.

<sup>3</sup> H. Otto, W. Witter, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.  
<sup>4</sup> e ქვე.

უკვე თავს იჩენს კალა. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს და გვიან ბრინჯაოს ხანაში კალა გაბატონებული მდგომარეობას იკავებს. მაგრამ ზოგიერთ რაიონში, როგორც ჩანს, კალის ნაყლებობის გამო, კალან ბრინჯაოსთან ერთად — ისევე დარიშხანიან სპილენძს ხმარობდნენ, ზოგან კი მხოლოდ დარიშხანიან სპილენძს ან მცირეკინარკევიან სპილენძს იყენებდნენ.

ჩანს, რომ დარიშხანიანი სპილენძი ჩვენში ბრინჯაოს კულტურის მთელ მანძილზე ყოფილა გამოყენებული. მაშინაც კი, როდესაც კალა უკვე

მეტნაკლებად ფართო გამოყენებას პოულობს, ხმარებიდან არ გამოდის დარიშხანიანი სპილენძისაგან დამზადებული ნივთები. ამის მაგალითები, როგორც აღნიშნული გვექონდა, გვხვდება გვიანო ბრინჯაოს ხანის ორივე კულტურის წრეში. როგორც ჩანს, ძველმა ქართულმა მეტალურგებმა საუკუნეების მანძილზე კარგი გამოცდილება მიიღეს დარიშხანიან სპილენძზე მუშაობისა და ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასე წარმატებით იყენებდნენ მას.



## ქიმიური მეთოდება

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებელი ლითონის უძველესი ნივთები, როგორც დაერინახეთ, სხვადასხვა შედგენილობის ბრინჯაოსაგან არის ნაკლები. ძირითადად ჩვენ აქ ვხვდებით რთული შედგენილობის ბრინჯაოს, რომელიც, სპილენძთან ერთად, უმთავრესად შემდეგ ელემენტებს შეიცავს: დარიშხანს, ანთომონს და კალას. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ისეთი შენადნობები, რომლებიც შედგება სპილენძ-დარიშხანის, სპილენძ-დარიშხან-ანთომონის, სპილენძ-დარიშხან-კალასა და ბოლოს სპილენძ-კალა-დარიშხან-ანთომონისაგან. ზოგჯერ, გარდა ამ ძირითადი შემადგენელი ელემენტებისა, დამოწმებულია აგრეთვე თუთია და ტყვია.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბრინჯაოს ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას სპეციალური ნაშრომი<sup>1</sup> შეიძლება. ის მაინც სრულყოფილი არ აღმოჩნდა ძველი ქართული ბრინჯაოს ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისათვის. ვინაიდან მასში არ არის მოცემული ჩვენთვის საინტერესო ელემენტების (კალა, დარიშხანი, ანთომონი და სპილენძი) განსაზღვრის მეთოდი მათი ერთდროულ შემცველობის შემთხვევაში.

უფროდ აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქიმიურ ლიტერატურაში მრავალი მეთოდი ცნობილი ლითონებისა და შენადნობების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისათვის<sup>2</sup>, მაგრამ მათი გა-

მოყენება ძველი შენადნობების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისათვის ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ამის გამო აღნიშნული მეთოდების გამოყენებისა და რიგი საკითხების შესწავლის შედეგად შემუშავებული და ჩამოყალიბებული იყო ქიმიური ანალიზის მსვლელობა, რომელიც საფუძველად დაედო ძველი ქართული ბრინჯაოს ქიმიური ბუნების კვლევას. ვინაიდან ჩვენ ხშირად ვიყავით შეზღუდული სინჯის სიმცირით (უნიკალური და პატარა ნივთების შემთხვევაში), ამიტომ ქიმიურ ანალიზს თითქმის ყოველთვის წინ უსწრებდა ნახევარდარღვევითი სპექტრული ანალიზი, უკანასკნელი საშუალებას გვაძლევდა დაგვედგინა შემადგენელი ელემენტების დაახლოებითი შემცველობა, რის საფუძველზეც ხდებოდა თითოეული ელემენტის განსაზღვრისათვის სათანადო მეთოდის შერჩევა.

### 1. კალის განსაზღვრა

თუ სათანადო ობიექტი დარიშხანსა და ანთომონს არ შეიცავს, (რასაც სპექტრული ანალიზი გვიჩვენებს), მაშინ კალა შეიძლება განისაზღვროს წონითი მეთოდით. დარიშხანისა და ანთომონის შემცველობის შემთხვევაში კი უმჯობესია კალის განსაზღვრა მოცულობითი იოდომეტრულ მეთოდის გამოყენებით.

1. Н. Н. Мурач и М. А. Ревков, Сборник стандартов цветных металлов и сплавов, Гос. изд. по стандартизации „Стандартгиз“, М.-Л., 1933.

2. В. Гилберт, Г. Лейдлер, Практическое руководство по неорганическому анализу, ОНТИ, Москва, 1933.

3. М. М. Кольцов и В. А. Стенгер, Объемный анализ, Госхимиздат, 1952.

4. П. П. Грошев, Технический анализ, Госхимиздат, 1953.

5. А. И. Пономарев, Методы химического анализа минералов и горных пород, Изд. АН СССР, Москва, 1951, და სხვ.

<sup>1</sup> А. Ф. Гушина, В. В. Данилевский, В. Н. Ковалов, А. А. Лагун, Г. М. Петрович, Методика химико-аналитического исследования древних бронз, ГИИМ, Москва-Ленинград, 1935.

<sup>2</sup> А. М. Дыков, Технический анализ руд и металлов, Металлургиядет, Москва, 1949.


3. Ю. Файнберг, Анализ руд цветных металлов, Металлургиядет, 1949.

4. И. М. Кольцов и Е. В. Сеидза, Количественный анализ, Госхимиздат, 1948.

5. Ф. Тродвадз, В. Голд, Курс аналитической химии, т. II, Госхимиздат, 1933.

**წინათი მეთოდი**

კლებთ 0.5 გ წინაჲს, ვათავსებთ 200—250 მლ-იან კიქაში, ეუმბატებთ 30 მლ აზოტის მჟავას (1:1) და ვახურავთ საათის მინას. ვინაღ.ნ ნიშუ-მის გახსნა საკმაოდ ენერგიულად მიმდინარეობს. მჟავას მცირე (2—3 მლ) რაოდენობით ეუმბატებთ. გახსნის რეაქციის შენელების შემდეგ ვაშორებთ საათის მინას. რომელსაც ჩავრეცხავთ წყლით და ხსნარს ნელა ვაორთქლებთ (უმჯობესია წყლის აბა-ჯანაზე) მოკულობის შემეცირებამდე (~2—3 მლ). აორთქლებას შედეგად კალა გადადის უხსნად კალის მჟავაში (H<sub>2</sub>SnO<sub>3</sub>) შემდეგი რეაქციით:



მეტაკალის მჟავა გამოყოფა თეთრი ფერის ნალექის სახით. ნალექს ეუმბატებთ 90 მლ ცხელ წყალს, 20 მლ 20% ამონიუმის ნიტრატის (NH<sub>4</sub>NO<sub>3</sub>), ვადულებთ 15—20 წუთის განმავლობაში და ვტოვებთ დასალექივად მეორე დღემდე.

ნალექს ვფილტრავთ „ლურჯლენტიან“ ფილტრის ქალღღმთი ფილტრის ფაფასთან ერთად (უნდა მივიღოთ სრულიად გაქვივრავლე ფილტრები), ვრეცხავთ ჯერ 30% ცხელ აზოტის მჟავით Cu მკონი-ლებამდე, რასაც ვამოწმებთ K<sub>4</sub>[Fe(CN)<sub>6</sub>]-ით (სპი-ლენძის არსებობის შემთხვევაში იძლევა მოყავის-ფრო შეფერვას) და შემდეგ ცხელი წყლით მჟავას მოკლებამდე.

მიღებულ ნალექს ფილტრის ქალღღმთან ერთად ეაშობთ თერმოსტატში და შემდეგ ეწვავთ მუ-ფელს ლუმელში 900—950° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში. ვაცივებთ და ნალექს ვა-მუშავებთ 2—3 წუთ კონცენტრული აზოტის მჟა-ვით, ვაორთქლებთ წყლს აბაჯანზე ნალექის გაშ-რამამდე და ეწვავთ ისევ ლუმელში 40 წუთის გან-ჰევლობაში 900—950° ტემპერატურაზე. შემდეგ ე-აცივებთ ექსიკატორში და ეწონით

$$Sn\% = \frac{\text{ნალექის წონა} \times 0,7877 \times 100}{\text{წონაჲ}}$$

0,7877 ირის SnO<sub>2</sub>-ის Sn-ში გადაყვანის კოეფიციენტი.

**მოდულიზითი მეთოდი (იოდომეტრული)**

0.5 გ წინაჲს ვათავსებთ 250 მლ-იან კიქაში,

! იმ შემთხვევაში, როდესაც საბაზიზო ნიშნში ანთი-მონის ან დარიშანის რაოდენობა მტრია კალის რაოდენობაზე, მაშინ ნიშნს ხსნარში გადაყვანამდე დარიშანისა და ანთიმონის სრული გამოდოლდათვის უმატებენ ლითონურ კალას (0,2 ან 0,4 გრ-ის რაოდენობით), რომელიც შემდეგში გამოადლება მიღებულ შედეგს.

ეუმბატებთ 10 მლ წყალს და 15 მლ მჟვის არაჲს. ვახურავთ საათის მინას. თავდაპირველად გახსნა ცოვად მიმდინარეობს, შემდეგ კი ვაცხელებით. წინაჲსის გახსნის შემდეგ ეუმბატებთ 5—8 მლ 2% FeCl<sub>3</sub>, ვანზავებთ 100 მლ წყლით და ვაცხელებთ 70—80° ტემპერატურაზე, ეუმბატებთ 25% ამონიუმის ტუტეს შინამ, ვიღრე წარმოქმნილი ლია მწვანე ფერის სპილენძის მარილი მთლიანად გაიხსნება და ხსნარი ლურჯ ფერს მიიღებს. ხსნარის წყლის აბა-ჯანაზე ვტოვებთ 40—60 წუთის განმავლობაში ნალექის (კალა, რკინა და ალუმინი) მთლიანი კო-აგულაციისათვის, რის შემდეგ ვფილტრავთ და რამდენჯერმე ვრეცხავთ ცხელი წყლით, რომელიც შეიცავს ამონიუმის ტუტეს (5 მლ 25% NH<sub>4</sub>OH + 100 მლ H<sub>2</sub>O).

